1930 ორკვირადი ჟურნალი
ფასი ყველგან 15 კაპ.
1 იანვარი
№ 1 (25)

# დროშა



ვ. ი. ლენინი
ოქტომბრის გამარჯვების ორგანიზატორი, დაჩაგრულ კლასის და მთელი მსოფლიოს მშრომელ ხალხთა უდიდესი მასწავლებელი

# ფოტო-ქრონიკა

ინჟენერ მინერის აღმოჩენამ შესაძლებელი გახადა, რომ არა მარტო ცალკე მცურავებს შეუძლიათ დიდხანს ისუნთქონ და იმუშაონ წყალქვეშ. მინერის კონსტრუქცია შესდგება გრძელი, ელასტიური მილისაგან, რომლის ბოლოში სამყოფი ადგილია, სადაც მთელს ოჯახს შეუძლია მოთავსდეს და ზღვის ფსკერზე იმოგზაუროს. ჯერჯერობით ასეთ ზღვის ქვეშ მოგზაურობას აწარმოებენ არა მდიდარი ადამიანები თავიანთი სიამოვნებისათვის,





არამედ მეცნიერები ზღვის ქვეშეთის ცხოველთა და მცენარეთა შესასწავლად. ჩიკაგოს მუზეუმის დავალებით ბუნებისმეტყველმა ვილიამსონმა საგანგებო ექსპედიცია მოაწყო და მინერის მილის ფანჯრიდან გადაიღო ზღვის ცხოველების თავისებური ცხოვრება და მოძრაობა; ამას გარდა მცურავებს მოატეხინა კორალების შტოები და ჩიკაგოს მუზეუმში გაგზავნა. მკვლევარის ცოლი და პატარა ბავშვი მონაწილეობას იღებდნენ ამ ექსპედიციაში, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მინერის კონსტრუქცია ტეხნიკურათ საიმედო და მოხერხებულია. ვილიამ ონის მიერ წარმოებულმა გამოკვლევამ დიდათ გააფართოვა ჩვენი ცოდნა ტროპიკული ზღვის თავისებური ფლორისა და ფაუნის შესახებ, რის მოწმობას ჩვენ მიერ გამოქვეყნებული ზღვის ფსკერზე გადაღებული სურათები წარმოადგენენ





ტელეფონის ქარხანა „კრასნაია ზარია“. ამ ჟამად „კრასნაია ზარიაში“-ში სწრაფი მუშაობა სწარმოებს სატელეფონო სადგურების გასაუმჯობესებლად. აქ მზადდება შემაერთებელი ნაწილები, რაც წინად უცხოეთიდან შემოჰქონდათ. ეს ნაწილები ავტომატიურად ამოწმებს თავისით მსვლელობას და რეგულიარიზაციას აძლევს ყოველ ტელეფონის მიმართულებას სატელეფონო სადგურებზე. ეს მოწყობილობა მეტად რთულია, მაგრამ ჩვენმა საბჭოთა ოსტატებმა დასძლიეს შვედების გამოგონილ მანქანას და კიდეც გაუსწრეს ზოგიერთ გამოგონებაში. სურათზე: ავტომატიურ სადგურისცდა, შემოწმება და მონტაჟი.

ოჯახის ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება. „ზნამია ტრუდა“-ს ტეხნიკმა ამხანაგმა გორდინმა გამოიგონა ახალი ნავთის სათბობი მანქანა, რომელიც იხმარება სამზარეულოში და კედლის ღუმელებში. სათბობში წ... სული წყალი იქცევა ორთქლად და აბრუნებს ტურბინას. წყალში შერეუ... ნავთი მტვრად იქცევა და ტურბინის ტრიალის გამო ენთება. მანქანა უფრო იოლი, ეკონომიური და ადვილი სახმარებელია, ვიდ „პრიმუსი“; იწვება სამი ლიტრი ნავთი 12 საათში. ამ მანქანით დიდ დაინტერესებული არიან ბაქოს, გროზნის და ამიერ-კავკასიის რაიონე... სურათზე: ამხ. გორდინის ახალი ტურბინ-სათბობი მანქანა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროშა



F 686

# ლენინიზმის ექვსი წელი ულენინოდ.

(1924 წ. 21 იანვარი 1930 წ.)

„სოციალიზმი ახლა უკვე აღარ არის შორეული მომავლის საქმე. ჩვენ სოციალიზმი ყოველდღიურ ცხოვრებაში გავატარეთ“ (ლენინი).

ექვსი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც ...ნ დავკარგეთ კომუნიზმის უდიდესი მასწავლე-...როლეტარული რევოლიუციის ბელადი— ...ჯარი ამხანაგი ლენინი. იგი აღარ არის ...ორის, მაგრამ ჩვენ ვატარებთ ცხოვრე-... მიერ დაწყებული საქმეს და მისგან დატო-...„ალთქმას“. ჩვენი ყოველდღიური მიმდი-...შაობა შემადგენელი ნაწილია იმ საბჭოთა ... მუშურ-გლეხური რესპუბლიკის სოცია-...ისტური მშენებლობისა, რომელიც დღეს ყვე-ლას მიერ აღიარებულია მთელი მსოფლიოს პროლეტარების სოციალისტურ სამშობლოდ, სამშობლოდ ძირ მომპალი კაპიტალიზმის და მტაცებელი იმპერიალიზმის მიერ დაბეჩავებული მშრომელი კაცობრიობისა.

სოციალისტური მშენებლობისათვის საჭიროა მილიონობით მშრომელთა მასების უდიდესი და თავგამოდებული შემოქმედებითი მუშაობა. ეს მასები სოციალისტური მშენებლობის შემოქმედებითი კლასობრივი მუშაობის სარბიელზე ძლევამოსილმა „ოქტომბერმა“ გამოიყვანა. ამრიგად, ჩვენ გვაქვს საფუძველი სოციალისტური მშენებლობის სამი ძირითადი ლენინური საფუძვლის ცხოვრებაში გასატარებლად. ეს არის-ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, მთელი გლეხური მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნა (რეკონსტრუქცია) და კულტურული რევოლიუცია. აი სწორედ ეს სამი, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული გზა წარმოადგენს ილიჩის სამ ძირითად ალთქმას, რომლებსაც მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა ატარებს ცხოვრებაში დღეს, პროლეტარიატის რკინისებური დიქტატურის დროს და ლენინური საკავშირო კომპარტიის (ბ) მუდმივი ხელმძღვანელობით.

***

ომის წინადროინდელი რუსეთი იყო ჩამორჩენილი ქვეყანა არ მარტო თავისი კულტურულ-ეკონომიური განვითარებით, არამედ იგი იყო ნახევრად კოლონიალური ხასიათის ქვეყანა. ვინაიდან უცხოეთის კაპიტალის უდიდესი ნაწილი

დაბანდებული იყო მრეწველობაში, განსაკუთრებით სამთო მრეწველობის საქმეში, მათ რიცხვში ნავთის, ქვანახშირის, რკინის გზის და სხვა საქმეში, ოქტომბრის რევოლიუციამ ყოველივე ამას ბოლო მოუღო. ჩვენ უკვე ბევრი რამის მიღწევა შევსძელით ტეხნიკურ-ეკონომიურად და კულტურულად ჩამორჩენილ, იმპერიალისტებით და კაპიტალისტური ქვეყნებით გარემოცული, სოციალიზმის წარმატებითი მშენებელი ქვეყნის ყველა უზომო სიძნელეთა დაძლევის საქმეში, და წარმატებით ვაშენებთ სოციალიზმს, მიუხედავათ იმ მხეცური ზიზღისა, რომლითაც იმპერიალისტები და კაპიტალისტები არიან გამსჭვალულნი საბჭოთა პირველი მუშურ-გლეხური ქვეყნისადმი. შიგნით კი ძველი რეჟიმის ნაშთები—ნეპმანები, კულაკები, მღვდლები, სექტანტები და საბჭოთა კავშირის ქალაქისა და სოფლის ყველა კაპიტალისტური ელემენტები ხელს უშლიან მშრომელთა მილიონიანი მასების ენტუზიაზმს მთელი სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის, მიწათმოქმედების სოციალისტური კოლექტივიზაციის საქმეში ქალაქისა და სოფლის მშრომელთა დაკავშირების ყველა ახალი ფორმებით, როგორიცაა, მუშათა ბრიგადები, სოციალისტური შეჯიბრება, მავნებლებთან და ბიუროკრატიზმთან ბრძოლა დაუნდობელი საქმიანი თვითკრიტიკის ნიადაგზე, და სხვა.

ამ გზაზე 1930 წლის გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანია სოფლისა და ქალაქის კაპიტალისტური ელემენტები საწინაალმდეგო რევოლიუციონურ-სოციალისტური შეტევის ერთ პირველ გადამწყვეტ რგოლთაგანს წარმოადგენს, როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ისე ჩვენს ა-კ. სფს. რესპუბლიკაში და კერძოდ საქართველოს ს. ს. რესპუბლიკაში. ჩვენ უკვე შევსძელით სოციალიზმის მშენებლობისათვის გამოლვიძებული და მუშათა კლასის მეთაურობით მომქმედი მშრომელი გლეხობის დახმარებით, დაგვეძლია ეს (კაპიტალისტური) ელემენტები და იმდენად გაგვეძლიერებინა სოციალისტური სექტორი, რომ უდიდესი სოციალისტური მშენებლობის ვარაუდი და გეგმა წარსული წლისა, წარსული თვისა და წარსული კვირისაც კი რეალურ ხორცს ისხამენ ე. ი. ისინი უკვე მომავლის, ასე ვსთქვათ, ხუთწლედის დასასრულის, მეოთხე ან მესამე წლის დამლევისათვის განსახორციელებელ პერსპექტივას კი არ წარმოადგენენ, არამედ მათი რეალიზაცია ხდება მიმდინარე ან, ბევრი-ბევრი, მომავალ წელს.

საბჭოთა ხელისუფლების 12 წელიწადმა (ე. ი. 12 წლის თავმა) უკვე ჯამი გაუკეთა დაუღალავი სოციალისტური მშენებლობის და კაპიტალისტური ელემენტების წინაალმდეგ მიმართული ბრძოლის შედეგებს. ხუთწლედის მეორე წელიწადში გადავედით ახალი ვარაუდებითა და გეგმებით, რომლებშიც დღეს ჩვენ შეგვაქვს ცვლილებები, რათა ისინი შეუფარდოთ სოციალისტური მშენებლობის იმ უდიდეს და ელვისებურად სწრაფ ზრდას, რომელსაც საბჭოთა კავშირის მშრომელთა მილიონები ეწევიან ქალაქში და სოფლად.

მრეწველობა, რა თქმა უნდა, წინ უძღვის სახალხო-სამეურნეო განვითარებას. აქ დღეს გადამწყვეტ როლს თამაშობს მძიმე ინდუსტრია, და ამ უკანასკნელის ღირსებაზე და მუშაობის გაშლაზეა დამოკიდებული მთელი სახალხო მეურნეობის მდგომარეობა. აი რისთვის მივმართავთ ჩვენ აქეთკენ ჩვენი ხუთწლედის კაპიტალური დაბანდების უმეტეს ნაწილს და რად შეგვაქვს მასში შესწორებები კვარტალების მიხედვით. „მრეწველობის ზრდის გარეშე, გარეშე იმისა, რომ ეკონომიურად იქნეს გამოყენებული ყოველი კაპეიკი მძიმე ინდუსტრიის განვითარებისათვის, შეუძლებელია ჩვენს ქვეყანაში კულტურისა და მუშათა კლასის როლის ზრდა, მუშათა კლასის დიქტატურის და სოფელზე გავლენის განმტკიცება. ამიტომ სოციალისტური მრეწველობის განვითარებაში მეტი მნიშვნელობა აქვს მძიმე ინდუსტრიის როლის გადიდებას—მანქანებისა და ელექტროფიკაციის წარმოებას“.

ასე სვამდა ამხ. ლენინი საკითხს მრეწველობის, განსაკუთრებით მძიმე მრეწველობის, ხელმძღვანელი როლის შესახებ.



ლენინის ცხედარს მიასვენებენ

კომპარტია და საბჭოთა ხელისუფლება დღეს ატარებენ ცხოვრებაში საბჭოთა კავშირის სწრაფი ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკას, აჩქარებული განვითარაბის უდიდესი ტემპების პოლიტიკას მრეწველობაში საერთოდ და მეურნეობის ყველა სხვა დარგებში, რომლებიც მასთან არიან დაკავშირებული.

მრეწველობის სწრაფი განვითარების ტემპი განსაკუთრებული ხასიათისაა არა მარტო ჩვენი ომის წინადროინდელი განვითარების ტემპთან შედარებით, არამედ მთელი დღევანდელი მოწინავე სამრეწველო ქვეყნების ტემპებთან შედარებითაც.

ახალმა საწარმოებმა, რომლებიც უკანასკნელი წლების განმავლობაში აშენდენ, 1928-29 წელს მოგვცეს ნახევარი მილიარდი მანეთის პროდუქცია, ხოლო მათი საწარმოო ძალების სრული გაშლის დროს შეუძლიათ მოგვცენ, თითქმის, ერთ მილიარდ ნახევარი მანეთის პროდუქცია. მაგალითისთვის ავიღოთ ამიერ-კავკასიის ს. ფ ს. რესპუბლიკა. მრეწველობის მთელი პროდუქცია (ნავთის გამოკლებით), ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიის 1929 წლის 7 ნოემბრის ცნობებით 380 მილიონ მანეთს აღწევს, ნაცვლად რევოლიუციის წინა დროის 30 მილიონი მანეთისა, ხოლო ხუთწლედის დამლევისათვის (ნავთიანად) გადააჭარბებს 1 მილიარდ 300 მილიონ მანეთს. მრეწველობის ძირითადი ფონდები აღწევენ 120 მილიონ მანეთს (ნავთის გამოკლებით), 1925 წელს კი იყო მხოლოდ 57 მილიონი მანეთი ხოლო ხუთწლედის დამლევს მიაღწევს 400 მილიონ მანეთამდე.

ახლა წარმოებაში და მშენებლობაში ჩვენს წინაშე სდგას თვითღირებულების შემცირებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების ამოცანა. ეს ამოცანა მიმდინარე წელს მრეწველობის ყველაზე მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს. ამასთან ერთად, განუწყვეტელი წარმოება—ნაბიჯია სოციალიზმისაკენ.

ქვეყნის სწრაფი ინდუსტრიალიზაცია გადამჭრელი პირობაა სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციისა და კოლექტივიზაციისათვის, მისი განვითარებისათვის და, როგორც მარცვლეულის, ისე ხორცის და ყოველი სხვა სასურსათო პრობლემის გადაწყვეტისათვის.

პარტიისა და მთავრობის მიერ აღებული, ღარიბი და საშუალო გლეხთა მასების ფართო კოლექტივიზაციის კურსი, მიუხედავად იმისა, რომ სოფლად მწვავდება კლასობრივი ბრძოლა, უზრუნველჰყოფს ნათესების ფართობის გადიდებას. ამ კურსმავე გამოიწვია კოლექტიურ მეურნეობათა რიცხვის სტიქიური ზრდა. ამავე დროს კოლექტიური მეურნეობები მსხვილდებიან და ძლიერი ხდებიან. ლენინმა დაამტკიცა, რომ „წვრილი გლეხური მეურნეობა აუცილებლად ბადებს კაპიტალიზმს“. მისი სიტყვით, „გლეხური მეურნეობის კაპიტალისტური მისწრაფებების დაძლევა შეიძლება მხოლოდ მისი თანდათანი, ხანგრძლივი გარდაქმნით ინდივიდუალური, დაქსაქსული მეურნეობიდან კოლექტიურ, საზოგადოებრივ მეურნეობად. ამიტომაც აქვს მნიშვნელობა კოოპერაციის განვითარებას, როგორც ძირითად საშუალებას გლეხური წვრილი მეურნეობის ჩასაბმელად სოციალიზმის მშენებლობაში“.

აი, სხვათა შორის, მაგალითი ამიერ-კავკასიის პრაქტიკიდან. 1927 წლის 7 ნოემბრის ცნობებით (ამგვარად, უეჭველია, უკვე უკან ჩამორჩენილით), კოლექტიურ მეურნეობათა რიცხვი 1926 წლის 52-დან 1.169-მდე გაიზარდა. მათში შემავალ მეურნეობის რაოდენობა კი 620-დან 23.200-დე ავიდა. კოლექტიურ მეურნეობათა ნათესების ფართობი 1927 წელს შეადგენდა 8.000 ჰექტარს, ახლა—23.000 ჰექტარს.

ამრიგად, საბჭოთა მეურნეობებთან, ერთად, უდიდეს როლს ითამაშებს კოლექტიურ მეურნეობაში გაერთიანებისაკენ მიმართული მოძრაობა, რომელიც იზიდავს არა მარტო მოჯამაგირეების, ღარიბი და საშუალო გლეხობის მასებს, არამედ მიწათმოქმედების დარგში წვრილ მეურნეობებს და ყველა მის დარგებს, მათ შორის მესაქონლეობასაც, მასიურად აყენებს რაციონალიზაციის გზაზე. წარმატებითი სოციალისტური მშენებლობა განუყოფელად არის დაკავშირებული იმასთან, რომ მშრომელთა ფართო მასები შეგნებულად და ნებაყოფლობით ღებულობენ მასში მონაწილეობას. მცირე რწმენის ხალხი, მოწუწუნენი მემარცხენე და მემარჯვენე გად. ხრის ბანაკიდან და მათთან შემარიგებლები გვარწმუნებდნენ, რომ სოციალიზმი საერთოდ და კერძოდ, სოფელში მხოლოდ მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვების დროს შესძლებს განვითარდეს, ახლა ეს განვითარება უნდა მიდიოდეს ნელის ნაბიჯით, გლეხობის მკაცრი კლასობრივი დიფერენციაციის გარეშე,—ღარიბებიდან დაწყებული კულაკობამდე („შეეზრდებიან სოციალიზმს“) მიზიდვით გამსაღებელ, საკრედიტო და მომხმარებელ კოოპერაციაში. მათ არ სწამდათ და არ სწამთ კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობების სწრაფი ზრდა. მაგალითად,

იგივე 1929 წლის 7 ნოემბრის ცნობებით [ცხადია ახლა მნიშვნელობად უკან ჩამოტოვებულით] ამიერ-კავკასიაში იყო 59 კოლექტიური მეურნეობა 1.475 ჰექტარი სათესი ფართობით. ამას კიდევ მიემატა 30 საბჭოთა მეურნეობა 34.500 ჰექტარი ფართობით და 46 მილიონი მანეთის საერთო დაბანდებით.

კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობების როლი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაში მთელ საბჭოთა კავშირში 5 წლის განმავლობაში გაიზრდება 8-ჯერ. ამასთან ერთად,



ლენინის ცხედართან

ცხადია, ამდენადვე შემცირდებოდა კულაკისა და ნეპმანის სამეურნეო მნიშვნელობაც, ამასთან ერთად უფრო სწრაფად დაეცემა მნიშვნელობა მშრომელები ხალხის „ბანგისა და მათრობელასი“ – ყოველგვარი სარწმუნოების და მისი ბატონყმურ-მონური იდეოლოგიის, რომელიც კაპიტალისტურ ექსპლოატაციას ემსახურება. თავის თავად ცხადია, სოფლის მეურნეობის ძლიერი საწარმოო ზრდა-განვითარების და მისი სწრაფი სოციალისტური რეკონსტრუქციის წინაშე სრულიად უსუსური აღმოჩნდა „მემარჯვენეთა“ თეორია სოფლის მეურნეობის „დეგრადაციის“ შესახებ. კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის სწრაფი ზრდა იმის შედეგს წარმოადგენს, რომ მშრომელ გლეხობაში გაიღვიძა თვითმოქმედების უნარმა, რომ მშრომელმა გლეხობამ შეიგნო, რამდენად სასარგებლოა სამეურნეო და ყოველგვარი სხვა კოლექტივიზაცია. ასევე წარმატებით მიდის მარცვლეულის გიგანტების მოწყობისა და კონტრაქტაციის განვითარების საქმე. მაგალითად, ამიერ-კავკასიაში კონტრაქტაციის საგანთა საერთო ღირებულებამ 1928-29 წელს (1929 წლის 7 ნოემბრის ცნობებით), 26 მილიონ მანეთს მიაღწია, კონტრაქტაცია შეეხო უმნიშვნელოვანეს ტეხნიკურ კულტურათა (ბამბა, თამბაქო), თითქმის, 100 პროცენტს.

— ჩვენთვის საჭიროა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და კოლონების საფუძველზე, დაუყოვნებლივ შევუდგეთ მთლიან კოლექტივიზაციას. მარტო ამიერ-კავკასიაში 1929 წლის ნოემბრამდე შემოტანილია 1000-დე ტრაქტორი და სამ მილიონამდე მანეთის სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები და იარაღები. ახლა საჭიროა მხოლოდ არ ჩამოვრჩეთ იმ სწრაფ მოძრაობას, რომელიც სოფლად დაწყებულია კოლექტიურ მეურნეობებში გაერთიანების სასარგებლოდ, საჭიროა უზრუნველვყოთ იგი მანქანური ტეხნიკით, მანქანური დახმარებით და პროლეტარიატისა და მისი პარტიის ხელმძღვანელობით. ხელმძღვანელობა კი აუცილებელია, ვინაიდან მანქანების საგრძნობი ნაკლებობის პირობებში მაინც საჭიროა ყველა იმ ცოცხალი და მკვდარი ინვენტარის გაერთიანება, რომელიც მოიპოვება.

კულაკი ამას ხელს უშლის, ეწევა აგიტაციას ღარიბ და საშუალო გლეხებში და ურჩევს მათ კოლექტიურ მეურნეობებში შესვლამდე გაყიდონ მუშა-საქონელი. აქ უდიდესი როლი ეკუთვნის მშრომელთა ავანგარდს, მუშათა კლასს.

ლენინი სწერდა: „ასეთ ქვეყანაში პროლეტარიატის როლი მდგომარეობს იმაში, რომ უხელმძღვანელოს ამ წვრილ მეურნეობათა გადასვლას განსაზოგადოებულ, კოლექტიურ სათემო შრომაზე“.

მუშათა კლასი და მისი პარტია, ამარცხებენ რა „მემარჯვენე“ და „მემარცხენე“ იდეურ მერყეობას, მიდიან წინ და გაბედულად აფართოებენ სოციალისტურ მშენებლობას მსოფლიოს ყველა დაბეჩავებულთა და დაჩაგრულთა სამშობლოში – საბჭოთა კავშირში.

* * *

„თუ არ მოისპო წერა-კითხვის უცოდინარობა და სიბნელე, თუ არ იქნა დაძლეული ბიუროკრატიზმი, თუ მუშებმა და გლეხებმა ფართო მონაწილეობა არ მიიღეს სახელმწიფოს მართვა-გამგებლობაში, ისე ჩვენ ვერ გადავჭრით ვერც ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, ვერც კოოპერაციაში გაერთიანების ამოცანას. სწორედ ამიტომ აქვს დიდი მნიშვნელობა იმას, რომ პირველ რიგში მიღწეულ იქნეს მუშათა და გლეხთა შორის წერა-კითხვის და ფართო განვითარების საყოველთაოდ გავრცელება“. ასე ლაპარაკობდა ლენინი კულტურული რევოლიუციის შესახებ.

კულტურული რევოლიუცია—ეს პირველ ყოვლისა არის საკითხი მასების, რომლებიც ოქტომბრის მიერ არიან გაღვიძებულნი და მიიწევენ ცოდნისაკენ, ბუნებასა და ცხოვრების ყველა საკითხების გაგებისაკენ, რაშიაც მათ წინად გზა-კვალს უბნევდა სარწმუნოება და ბურჟუაზიული ფილოსოფია. ერთი სიტყვით, მუშები და მშრომელი გლეხობა მიიწევს კულტურისაკენ. საბჭოთა კავშირის—ყოფილი მეფური რუსეთის—ყველა კუთხეებში, მათ რიცხვში ჩვენს ამიერ-კავკასიაშიც, როგორც, მაგალითად, აზერბეიჯანში, სომხეთში და საქართველოში მოისპო ძველი კოლონიალური წარსული. თანამიმდევარი კლასობრივი პოლიტიკით ჩვენ საბოლოოდ გადავსწყვიტეთ კლასობრივი საკითხი, შევქმენით უმაღლესი სასწავლებლები ადგილობრივ ენებზე, გაჩნდა მთელი აღმოსავლეთის რევოლიუციონურ გზაზე დამყენებელი თურქული ანბანი და სხვა.



სამგლოვიარო დემონსტრაციები ლენინის დაკრძალვის დღეს

საბჭოთა ხელისუფლება, ლენინური საკავშირო კომპარტიის (ბ) ხელმძღვანელობით, ყველაფერს აკეთებს ქალაქისა და სოფლის მშრომელთათვის, ყველასათვის, განურჩევლად ენისა, კანის ფერისა და სქესა,—რათა ყველა ჩვენგანი საბჭოთა კავშირში დაეწიოს და გაუსწროს კაპიტალისტურ ქვეყნებს, როგორც ტეხნიკურ-ეკონომიურის, ისე კულტურულის მხრით. შემდგომში, რაც უფრო გაიზრდება ხალხის მასების კულტურული დონე, მათი შემოქმედებითი ძალა სულ უფრო მეტად და მეტად იჩენს თავს. და ლენინიზმი იქცევა სინამდვილედ. და არა მარტო ჩვენს საბჭოთა კავშირში—დედა-მიწის ერთ მეექვსედზე.

კაპიტალისტური ექსპლოატაციის ერთნაირ პირობებს მთელს მსოფლიოში, ძირმომპალი მსოფლიო კაპიტალიზმის და მისი თანამედროვე მტაცებლური სამოსელის—საზიზღარი საერთაშორისო იმპერიალიზმის ღრმა უკურნებელ წინააღმდეგობებს ყველა ქვეყნების მებრძოლი პროლეტარები და დედამიწის მრავალი ასეული მილიონი დაბეჩავებული ერები მიჰყავთ პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვებისაკენ—მსოფლიო კომუნიზმისაკენ, ძლევამოსილი მსოფლიო „ოქტომბრისაკენ“.

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციის და მსოფლიო კომუნიზმის უდიდეს შტაბს და ძლევამოსილ ბელადს—მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს—ლენინურ კომინტერნს!

გაუმარჯოს მის სახელოვან მოწინავე რაზმს – ლენინურ საკავშირო კომპარტიას (ბ), საბჭოთა დიდი სოციალისტური ქვეყნის—საბჭოთა კავშირის მჭედელს და ბელადს!

დაე ჩვენმა ძლევამოსილმა ლენინიზმმა, თანმიმდევრობითი კლასობრივი ხაზიდან—ძლევამოსილი მსოფლიო რევოლიუციიდან—გადახრის შეურიგებელმა მტერმა, რომელმაც გმირულად გადაიტანა სამი რევოლიუციის ყოველგვარი განსაცდელი და გამოცდა,—დღევანდელ სოციალისტურ მშენებლობაშიც აღგვაფრთოვანოს და უხელმძღვანელოს დიდი, მაგრამ ჩამორჩენილი მუშურ-გლეხური საბჭოთა ქვეყნის—საბჭოთა კავშირის – სოციალისტური რეკონსტრუქციის ყოველდღიურ გრანდიოზულ მუშაობას.

ექვსი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენგან [ფიზიკურად] წავიდა ლენინიზმის შემქმნელი—დაუვიწყარი ამხ. ლენინი, მაგრამ ლენინიზმი დღეს უფრო მტკიცე და მონოლიტურია. იგი [ლენინიზმი] ხდება მშრომელი კაცობრიობის მრავალი მილიონი მასების კუთვნილებად. მისი გამარჯვება უზრუნველყოფილია მსოფლიო მასშტაბითაც.

მიხა ცხაკაია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმონ ჩიქოვანი

# ოცდაერთი იანვარი

## ლენინის ხსოვნას



ლენინი გიმნაზიელი

დიდო ბელადო, შენი სხეული დაეცა მძლავრი,
მოკვდა სხეული, სად გონების მწვერვალი სჩანდა,
მაგრამ სიკვდილით შენ აზრები არა გყავს მკვდარი
და სხეულდება ანდერძები მაღალ განცდათა.

შენ შეგვასწავლე გონივრული ჭვრეტა მყოფადის
შენებრ ნაბიჯით გვწამს კომუნიზმის ჩვენ დავეწევით
ჩვენ სიყვარული და მუშისთვის მღერა მოგვანდვეს
და მათთან ბრძოლა შენგან დაგვრჩა ნაანდერძევი.

ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე სევდა წავიდა,
გავრცელდა დარდი გაურჩევლად ეროვნებისა:
როცა სიკვდილმა წაგიყვანა ყოფის ნავიდან
და აშრიალდეს ტრაურები დიდ დროშებისა.

და მწუხარების გაიშალა სუნთქვა ჰაერში
როცა მოძმეებს დაობლებულ ძხოებით სტოვებდი,
თითქოს გეძებზე იალქნები დაბლა დაეშვენ,
სევდა დაიწყეს დიდ ცაცხვების მძიმე შტოებმა,



ლენინის სამუშაო კაბინეტი

და დაშლილ დროშებს მწუხარების პირზე ალესილს
სევდის შრიალმა მგლოვიარე საქმე ალირსა.
შენ სიკვდილის დღეს, ნისლი იდგა ოკეანეზე
ნისლის ტრაურის, ნისლის კვნესის და დაკარგვისა.

შენ სიკვდილის დღის, დაიგმინეს ქალაქებიდან
და შავ ფოთლებით შეიმოსა ქვეყნად სოფელი
შენ სიკვდილის დღის, მუშის ცაზე სევდა ეკიდა,
წვიმის ცრემლებით, მიწის დარდის დამალბობელი.

შენ სიკვდილის დღეს სხვა მგზავრების იყო წუხილი,
იყო ანდერძთა მოგონება სევდაც ფარული;
ერთი შეხედვით მიწა დარჩა თითქოს უხელოთ
მიწა იმედი, მიწა განცდა და სიყვარული.



წინასწარი პატიმრობის სახლის კამერა პეტერბურგში, რომელშიაც ლენინი იჯდა 1891-96 წ.

შენ საფლავის წუთს, თვით პლანეტა წუთით შეჩერდა
შენ საფლავის წუთს, მოძრაობა ყველგან დათავდა
შორით დაიძრა მგლოვიარე შავი აჩრდილი
მზის ამოსვლიდან გაიშალა დასავლეთამდე.

და საფლავის წუთს მოწაფეთა ფიცმა იელვა
და ჩვენც ავმაღლდით შენი აზრის ყოველ წვეთიდან;
სიკვდილს, სიკვდილი დაუმტკიცე ქვეყნად პირველად,
რადგან სიკვდილით შენი ყოფნა არ შეწყვეტილა:

მოდის ცხოვრება და მშრომელი მიწას იბეებს,
გავშალეთ შრომა და გაიხსნა ქვეყნის ცისკარი,
ყოფას ვაშენებთ; კომუნიზმის ახალ კიბეებს
დღითი, დღე ვაგებთ და მივდივართ სოციალიზმისკენ.

დიდო ბელადო, შენი სხეული დაეცა მძლავრი
მოკვდა სხეული, სად გონების მწვერვალი სჩანდა;
მაგრამ სიკვდილით, შენი აზრები არა გვყავს მკვდარი
და ცოცხლდებიან, ნაფიქრალნი მაღალ განცდათა.



ლენინი მოკვდა—ლენინიზმი ცოცხლობს!

# ლენინი და პეტროგრადი

თორმეტი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც ფინლიანდიის საზღვრით ლემინი პეტროგრადს მოუახლოვდა. მასთან იყო საძი ათეული ემიგრანტებისა, რომელთაც „პლომბიანი ვაგონით“ გერმანია გაქოიარეს.

მაშინ არ იცოდა არც მატარებლის მემანქანემ და არც პეტროგრადმა, რომ სულ რამდენიმე თვის შემდეგ ლენინის ლოზუნგები, რევოლიუციის გაღრმავების შესახებ, ქვეყნიერებას შესძრავდა და რუსეთის რევოლიუციონურ პროლეტარიატის გზას სოციალისტურ მშენებლობაზე დააყენებდა.

თებერვალში მომხდარი რევოლიუცია ჯერ კიდევ კადეტების ხელში იყო. მისი მსვლელობა იდილიურად მიმდინარეობდა. „სოციალისტური“ პარტიები მხარს უჭერდენ დროებით მთავრობას. სოციალ-დემოკრატებიც და ესერებიც ტკბილს ხძაზე ჭიკჭიკობდენ და ყოველ დათმობაზე მიდიოდენ.

ლენინი ვაგონის ფანჯარასთან იდგა და ნაძვნარ ტყეს გასცქეროდა, ჯარის კაცებივით ჩაიწკრივებული ხეები აზნეულად უკან მირბოდენ. მისი მაღალი ფართო შუბლი და სიღრმეში წასული მბზინავი თვალები, ფიქრის ღრუბლებით იყო მოცული. მტკიცე ნების გამომხატველი სახე, ფართო ტუჩები, შეჩერებული ნაოჭები, მძლე მუხასავით განიერი მხარბეჭი, ქანდაკებისავით უძრავი—თითქო მომავალ ქარიშხლის მოლოდინში გაყუჩებულიყო.

მალე მატარებელი ფარდულით დახურულ სადგურში შესრიალდა. რევოლიუციონურ პეტროგრადის სადგური სავსე იყო ხალხით. ქარხნის დაზგებიდან წამოსული მუშები, მატროსები და ჯარისკაცები იარაღით ხელში, ლენინის შესახვედრათ მოსულიყვნენ.

ათრთოლებული გულით ვაგონის ფანჯრიდან ვუმზერთ ამ არეულ ხალხს, ერთმანეთს რომ ტალღასავით ეხეთქება, მოუთმენელი სახით ვაგონებს ათვალიერებს და ახალ მოსულ სტუმარს ეძებს. მიმოსვლა, ჩოჩქოლი და გაძახილი ერთმანეთში არეული.

და უეცრად გაისმის მკვეთრი მაღალი ბ რიტონული ხმა: „ლენინი სად არის, ლენინი“!..

და ჩვენ მივხვდით, რომ მოსული ამხანაგები ლენინს ეძებდენ.

ლენინის მიჭუტული თვალები ციცინათელას შუქით აციალდა.

ვიღაც შემოვიდა ვაგონში. ლენინს მკლავში მოკიდა ხელი და გაიყვანა.

და ვხედავთ: იმავე ბარიტონული ხმის ბრძანებით, შეიარაღებული მატროსები, ჯარისკაცები და მუშები რიგად მწკრივდებიან, თოფებს შუბლის წინ ამართავენ, სულს განაბავენ...

რიგების წინ ლენინს ჩაატარებენ...

ის აღელვებულია, ათრთოლებული და ღიმილისგან გაჭითლებული.

და ჩვენ ვიგრძენით, როგორ უცბად გაიზარდა ლენინი, ამაღლდა და ჩვენთვის ეხლა მიუწდომელი გახდა. მუშებსა და მატროსებს მიეკუთვნა.

ჩვენ არავის ვახსოვართ. ყველა ლენინს ეხვევა გარს, უცინის, ესაუბრება, ეალერსება, ესალმება.

მიჰყავთ სადგურის დიდ დარბაზში, იქ სადაც წინათ მეფეს ილებდენ—ახლა ეს დარბაზი მუშებით და მატროსებით სავსეა.

მისასალმებელი სიტყვები და ლენინის საპასუხო, ეს პირველი მოკლე და მკვეთრი რევოლიუციონური სადგურზე წარმოთქმული სიტყვა.

და მეორე დღეს იყო პეტროგრადი და ლენინი.

როგორც მდინარის შეტბორებული მორევი აირევა, აქოჩრდება, აღელდება, შხეფებს ისვრის, როცა მასში მოსხლეტილი კლდე ჩავარდება—ისე აბობოქრდა მაშინ პეტროგრადის მოსახლეობა და ცოფიანი ქაფი კბილებში გამოჟონა.

მან კარგათ იგრძნო რა დიდ რევოლიუციონურ ძალასთანაც ჰქონდა საქმე და შეშფოთდა. ამიტომ ლენინის გერმანიის ტერიტორიით კადნიერი გამოვლა,—ბოროტეულათ ახსნეს და ავტორიტეტის დასაცემათ, ჭორების გუდა გახსნეს.

„ლენინი გერმანიის მთავრობის მიერ მოსყიდულია“... „ლენინი აგენტია ვილჰელმის“... „ლენინი სამშობლოს გამყიდველია“!..

„როგორ შეიძლება მეომარმა სახელმწიფომ თავის ტერიტორიაზე გამოგიშვას, თუ რაიმე სამაგიეროს არ დაჰპირდები?.. ცხადია ლენინმა უამრავი ფული აიღო“... გაჰკიოდა პეტროგრადის „საზოგადოება“ და მისი ამყოლი პარტიები.

მუშების წრეებში კი სულ სხვა ზრახვებს ჰქონდა ადგილი. გაიგეს თუ არა, ლენინის ჩამოსვლა, ძთელი გულის ყური მისკენ მიიპყრეს და ყოველი მუშათა უბნიდან, ყოველი ქარხნიდან გაისმოდა—ლენინი მოგვიყვანეთ, ლენინი!..

ლენინსაც ეს უნდოდა.

კალამმა როგორ უნდა ასწეროს მაშინდელი ლენინი!..

როგორც გალიიდან გამოშვებული ვეფხი, გაავთრებული, დაუნდობელი, ატაცებული, შმაგი — ისე დაიარებოდა პეტროგრადის მუშათა უბნებში და აღვიებდა იმ კოცონს, შემდეგში ხანძრათ რომ გადაიქცა...

ის იყო ერთი მიზნით, ერთი სახეობით, ერთი ატაცებით ავარდნილი! ერთ იდეალში მომწყვდეული, ერთის ფიქრებით და ზრახვებით შთაგონებული რევოლიუციონერი, რომელსაც არაფერი სწამდა, ვერაფერს ხედავდა—გარეშე რევოლიუციისა...

და როცა ის ლაპარაკობდა, მისი სიტყვები მოდიოდა როგორც ლურსმნები და მსძენელობას ჩაქუჩის დარტყმით ესობოდა. დებულება მისდევდა დებულებას ლოღიკური და ფოლადის ჩამოსხმით.

როცა ის სიტყვას ამბობს, წინ წამოხრილია და ამიტომ უფრო გარკვევით მოსჩანს მისი ტიტველი თავი. მოზრდილი, განიერი შუბლი და მუსკულიანი სახე რიჟა ულვაშებით. თვალები სიღრმეშია წასული. ხელები ლაპარაკის დროს მოუსვენრობენ. ხელის გული ხან მუშტათ იკუმშება, ხან კი გაშლილი სივრცეში ავარდება. ამ მოძრაობაში არის რწმენა, იძედი და რკინისებური სიმტკიცე...

ვეფხივით დგას ტრიბუნაზე და ტიტველ თავზე და წინ წამოვარდნილ განიერ შუბლზე მოძდგარ ოფლს იდაყვებით იწმენდავს.

მას უნდა მსმენელები მოხიბლოს, მიიზიდოს. შუბლის ქვეით სიღრმეში წასული თვალები აციალდება და რაკილა მსძენელი ერთხელ მოკრავს თვალს ამ აციალებას, იგი თრთოლით დაიყურსება, მსმენელობას გაამახვილებს, რომ კარგად გაიგოს რას იტყვის იგი... ხმა ხშირად შერბილდება, მოქნილობის იერით გამოსწევს მსმენელებისკენ, თითქოს ბადეში უნდა გაახვიოს, დაგიჭიროს, როგორც მეთევზემ თევზი.

როგორც დახელოვნებულმა მეთევზემ იცის, თუ რა სიღრმით უნდა ჩაუშვას ანკესი. ისე ლენინი გრძნობს მსმენელებს, ის ხედავს, რომ მისი აზრი მოწინააღმდეგის აზრს შეეჯახა. ახლა ლენინი დაუნდობელია. ორიოდე ნაბიჯით ტრიბუნაზე უკან იხევს, თითქოს უნდა საბრძოლველ არესთვის მეტი ალაგი დაიკავოსო, რომ მოწიხააღმდეგეს გაშმაგებით თავს დაეცეს. მერე თანდათან წინ წამოვა, მსმენელებს თვალებით ჩაეჭიდება, ტრიბუნის ნაპირზე დადგება და ხელების ქნევით მოქმედებს მსმენელებზე, როგორც ჯადოსანი.

აგერ გაისმის მოკვეთილი მისი ფრაზა—„პროლეტარიატის დიქტატურა ძირიანად ამოფხვრის ამ ბურჟუაზიულ წუმპეს“...

მსმენელთა ერთი ნაწილი გაოცებული, პირდაღებული და თვალ გაშტერებული შესცქერის, მეორე ნაწილი მუშების წარმომადგენლობისა—მქუხარე ტაშით შეხვდება, რომელსაც არ აქვს დასასრული.

ახლა ლენინი წელში კვლავ გასწორდება, ხელებს ჯიბეებში ჩაიწყობს და ერთის წუთით შეჩერდება—აქანდაკებული.

ბიბლიოთეკა

მან ლახვარი ჩასცა მტერს და რევოლიუციონურ პროლეტარიატში კი, მკვეთრი ლოზუნგი ისროლა...

მთელ მის სხეულში, სახის მუსკულებზე, განიერ ტუჩებში და სიღრმეში წასულ თვალებში გამოსჭვივის დიდი რწმენა თავის სიტყვების სიმართლისა და გამარჯვებისა.

ორატორული ხერხი ლენინის ლაპარაკისა უბრალოა. მის ფრაზებში არ არის მახვილობა, ფიგურალური გამოთქმა, პოეტური შედარება. არის ხანდახან ხუმრობა რომელიც საჭიროა მასისთვის.

მთელი სიტყვა გამართულია და შეზომილი ერთი მომქმედი დასკვნისთვის. აქეთკენაა მისწრაფებული ყველა დებულება, ამიტომ დასკვნის დასამტკიცებლად იგი მსმენელებს ხან ერთი მხრიდან მიუდგება, ხან მეორედან—აუხსნის, გაურკვევს, დაუმტკიცებს, დაარწმუნებს. და თუ დათანხმდები პირველ დებულებას, არ შეგიძლია უარჰყო მეორე. ან ძთლიანად უნდა მიიღო ან სავსებით უკუაგდო.

როგორც დურგალი ჩაქუჩით ლურსმანს აჭდობს, ისე ლენინი სიტყვებს ჩაგიბეჭდავს თავში. კიდევ და კიდევ მოიქნევს ჩაქუჩს, სანამ მისი აზრი არ განმტკიცდება შენს თავში.

სიტყვის ბოლოს თითქო მოიქანცაო, ხმა მისუსტდება, თითქო ხანძარი ქრებაო. ოფლს მოიწმენდს და უბრალოთ ათავებს: თუ გავაკეთებთ, ამხანაგებო, სიტყვით კი არა, საქმით—მაშინ უსათუოდ გავიმარჯვებთ...

ასეთი იყო ლენინი ტრიბუნაზე და ცხოვრებაშიც, მუდამ საქმისკენ გასწრაფებული. ასეთი რწმენა ჰქონდა მას გამარჯვების და იმარჯვებდა კიდეც...

მან კარგათ იცოდა, რომ რევოლიუციონური მსვლელობა სულ სხვა გზით უნდა წასულიყო და არა „სოციალურ“ პარტიების მიერ შემუშავებული პროგრამით, რომელსაც მაშინ სათავეში მდგარი პირები ზრახვიდენ.

მაშინ იყო ლენინი და იყო პეტროგრადი. .

პეტროგრადი იყოფოდა ორ ბანაკად: იყვნენ ლენინის ჩამოსვლის მომხრენი და მისი მოწინააღმდეგენი.

პეტროგრადის ჰაერი გაჟღენთილი იყო ლენინის სუნით. ბევრი ტკბილად ყნოსდა მას, ბევრი მწარედ...

იყო პეტროგრადი და იყო ლენინი.

ლენინის მომავალი წინ იყო. პეტროგრადი მას მისდევდა.

დაბრკოლება უამრავი იყო. იყო ლენინი და მასთან რევოლიუციონური პროლეტარიატი.

პეტროგრადი ეცემოდა და იმარჯვებდა ლენინგრადი.

**დ. სულიაშვილი.**

# მეტი ყურადღება საბჭოთა ბამბას

**ბამბის კულტურის განვითარება უნდა შეუფარდდეს ხუთწლიან გეგმის ინდუსტრიალიზაციის ტემპს.**

**ამიერ-კავკასიის მეურნეობის საერთო ზრდასთან ერთად მომავალ წლებში მებამბეობის დათესილი ფართობი უნდა გადიდდეს 300.000 ქ. მეტრით, ნაცვლად დღევანდელ 120.090 ქ. მეტრისა. ე. ი. 132 პროცენტით.**

**ამიერ-კავკასიის მებამბეობამ 1932 წელს ნედლი მასალით უნდა უზრუნველჰყოს ამიერ-კავკასიის საფეიქრო ქარხნები.**

მთელ ამიერ-კავკასიაში ამჟამად მიმდინარე ბამბის ერთთვიური წარმოადგენს ფართო საზოგადოებრივ დამკვრელ კამპანიას ბამბის მეურნეობის საკითხებზე. ერთთვიურის ძირითადი ამოცანებია შეიტანოს უშუალოდ ბამბის რაიონების გლეხთა მასებში პარტიისა და ხელისუფლების დადგენილებები ბამბის ხუთწლიანი გეგმის გაძლიერების შესახებ. ბამბის ერთთვიურმა წინ უნდა წასწიოს მომავალ ბამბის თესვის მოსამზადებელ ღონისძიებათა განხორციელების საქმე, უნდა წარმოშვას ახალი ფაქტორები, რომლებიც ხელს შეუწყობენ მებამბეობის წარმატებით განვითარებას.

როგორც ცნობილია, საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ივლისის პლენუმის დადგენილებაში, ბამბის მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის გადათვალიერების შესახებ მოცემულია დირექტივა, რათა მაქსიმალურად გავაძლიეროთ ჩვენი საშუალებანი ბამბის ხათესი სივრცის გასაფართოებლად და მოსავლიანობის გასადიდებლად. მიმდინარე ხუთწლედის ბოლოს ჩვენ არა თუ უნდა გავანთავისუფლოთ ჩვენი საფეიქრო მრეწველობა უცხოეთიდან ბამბის შემოზიდვისაგან, არამედ უნდა შევქმნათ ერთგვარი რეზერვი ამ მრეწველობის შემდგომი გაფართოებისათვის.

ამჟამად მთავრდება ა.-კავკასიაში ბამბის მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის გადასინჯვა, ისახება ახალი ამოცანები, რომლებიც განსახორციელებელი იქნება ამ.-კავკასიის პირობებში. ხუთწლედის დასასრულს, ე. ი. თესვის სამი პერიოდის შემდეგ, ჩვენს წინაშე სდგას ამოცანა გავადიდოთ ბამბის ნათესი სივრცე ორჯერ (130.000 ჰექტარიდან 300.000 ჰექტარამდე) და გავადიდოთ მოსავლიანობა 70 პროცენტით. ამის შედეგად ჩვენ შესაძლებლობა გვექნება ამ.-კავკასიაში ბამბის წარმოება გავასამკეცოთ (1.6 მილ. ფუთიდან 5.2 მილ. ფუთამდე).



**სურათებზე: 1—ბამბის თე ლის დარიგება შულავრის ქარხანაში, 2—ბამბის საწყობი, 3 და 4—ბამბით დატვირთული აქლემების ქარავანი, 5 და 6—საქ. მებამბეობის კომიტეტის ქარხ. № 1.**

მებამბეობის განვითარების ასეთი უჩვეულო ტემპები თვალსაჩინოა და მის დაძლევას ჩვენ შევძლებთ მხოლოდ მთელი ძალების დაჭიმვით და ყველა საშუალებათა გამოყენებით, იმ პირობით, თუ ჩვენ შეუფერხებლად შეუდგებით მებამბეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესრულებას და ამ საქმეში გამოვიჩენთ მაქსიმალურ ორგანიზაციულობას. ამ ფრონტზე საბრძოლველად მთავრობამ აუარებელი მატერიალურ-ტეხნიკური ძალები გადაისროლა. მებამბეობის რაიონებში განზრახულია 2.500-ზე მეტი ტრაქტორის, 20.000 ცხენის, 100.000 სხვადასხვა წვრილ სას. სამ. მანქანა-იარაღების შეზიდვა; განზრახულია დაიხარჯოს ათეული მილიონი მანეთები წყლის მეურნეობის სამუშაოებზე, სარწყავი მიწების სივრცის გასაფართოებლად და ახალ, რამდენიმე ათას ჰექტარ, მოპოებულ მიწებზე დასასახლებლად.

მებამბეობის დარგში უნდა ყოველმხრივ გავაღრმავოთ ქალაქისა და სოფლის კავშირი, პირველ რიგში კი კავშირი საფეიქრო წარმოებისა და მებამბეობის მეურნეობათა და ამ საქმეში ფართოდ გამოვიყენოთ საწარმოო დაკავშირების ის ახალ ფორმები, რომლებიც წარმოიშვა ამ უკანასკნელ დროს. უნდა მოვაწყოთ ფეიქარ-პროლეტარების შეფობა ცალკე ბამბის მეურნეობებზე.

მეტი ყურადღება საბჭოთა ბამბას— ეს ლოზუნგი უნდა განხორციელდეს ცხოვრებაში. საბჭოთა ბამბამ დაიმსახურა ეს ყურადღება, ბამბის მეურნეობის ხუთწლიანი გეგმა უნდა განხორციელდეს.

**ბ. ლინზი.**

# თბილისის ახალი წყალსადენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუადღის პირველ საათზე ჩვენი მანქანა გაჩერდა ნატახტარის ახალ წყალსადენის სამუშაოებთან.

მე და ახალი წყალსადენის სამმართველოს უფროსი ამხ. ა. ფარნიევი დავადექით ტალახიან საურმე გზას და მალე ჩავედით სამუშაოთა ერთ უბანში, სადაც დიდ ხევში მდ. არაგვზე აშენებენ 150 მეტრის სიგრძე ხიდს, რომელსაც უნდა გაჰყვეს წყლის მსხვილი ბეტონის მილი.

სწარმოებს გაცხოველებული მუშაობა ხიდის ბურჯების დასადგმელად. მთავარი ყურადღება ამ ადგილს ექცევა, რადგან ბურჯების დადგმა აუცილებლად უნდა დამთავრდეს მდ. არაგვის ადიდებამდე. დავათვალიერეთ სამუშაოთა ეს უბანი და გავსწიეთ ქაბურღილებისაკენ.

გზაში შეგვხვდა ახალგაზრდა ტეხნიკი, რომელიც შეეკითხა ამხ. ფარნიევს:

— როგორ არის საქმე, კრებაზე ძლიერ გაგვკიცხეს?

— დიახ ძლიერ „მოგვცხეს" ჯერ ჩვენა და მერე კი თქვენ უპასუხა, ამხ. ფარნიევმა.

— უნდა ვიმუშაოთ უფრო მუყაით დ, ენერგიულად და სწრაფი ტემპით, რომ დაკისრებულ სამუშაო დროზე დავამთავროთ; აქამდე დაშვებული შეცდომები მალე უნდა გამოვასწოროთ— ამბობს ტეხნიკი.

მართლაც, ახალი წყალსადენის სამმართველოს საქმიანობაში იყო ცოტა არევდარევა. 1929|30 წლის სამუშაოები ჯერაც არ არის გამოკვლეული, რადგანაც არ იციან რამდენ თანხას გადასდებენ ამისათვის. სამმართველოს გეგმის მიხედვით 1930 წლისათვის საჭიროა 3.640.000 მან. საუბედუროთ წყალთა სამმართველოს ეძლევა 1930 წლის სამუშაოებისათვის მხოლოდ, 2.640.000 მან. შავი მუშა ხელით და აგრეთვე ინჟენერ-ტეხნიკოსებით გეგმა სავსებით უზრუნველყოფილია. სამუშაოების სამმართველოს მექანიკური მოწყობილობები სამუშაოების მთელი ღირებულების 5 პროც. უდრის, მაგრამ ეს იარაღები, სამწუხაროთ, ყველა არ არის გამოყენებული, ამ ნაკლის გამოსასწორებლად ზომები უკვე მიღებულია.

მუშაობის ტემპი საგრძნობლად უნდა გაძლიერდეს, რომ სამმართველოზე დაკისრებული მოვალეობა დროზე იქნეს შესრულებული.

განვაგრძეთ გზა.



ფოტო—შ. ფურცხვანიძის.
სამუშაოთა საერთო სანახაობა იქ, სადაც კეთდება ხიდი წყლის მილის გადასაყვანად.

— აი ბეტონის მილი, რომლითაც წყალი უნდა წამოვიდეს, მითხრა ამხ. ფარნიევმა და გადამახედა თხრილში, რომელშიც გაშოლტილია უშველებელი ბეტონის მილი, რომელზედაც მუშაობა ყინვების გამო ჯერ-ჯერობით შეჩერებულია.

მივდივართ მილის გასწვრივ და მალე მივადექით ერთ დიდ ორმოს, სადაც უნდა გაკეთდეს დიდი აუზი, რომლიდანაც ორი მილი გამოდის, ერთით წყალს გამოუშვებენ თბილისისაკენ, ხოლო თუ აუზში ბევრი წყალი დაგროვდა, აუზი თავისუფლდება ზედმეტი წყლისაგან მეორე მილით.

მალე მივედით ქაბურღილების სამუშაოებზე.

— ქაბურღილებზე მუშაობა ჩვენ უკვე დავამთავრეთ, იძახის ამხ. ფარნიევი, რამოდენიმე ქაბურღილი უკვე გავყიდეთ კიდეც, მუშაობს მხოლოდ 2 ქაბურღილი.

მივდივართ კიდევ წინ.



ქაბურღილებზე სამუშაოთა საერთო სანახაობა,



ფოტო—შ. ფურცხვანიძის.



ფოტო—შ. ფურცხვანიძის.
მუშათა საცხოვრებელი უბანი: თეატრი, სამკითხველო და სასადილო.

— თქვენი აზრით როდის ეღირსება თბილისს ნატახტარის წყალი? შევეკითხე.

— წყალი მომავალი წლისათვის ჩავა ღრმა ღელემდე, სადაც ბეტონის დიდი მილი, რომელიც ჩვენ ვნახეთ, შეუერთდება ძველ წყალსადენს და წყალი ძველი მილებით ჩავა თბილისში, მხოლოდ ზოგიერთი მათგანის გამოცვლა კი აუცილებელია.

— შეაფერხებს თუ არა ზამთარი თქვენს სამუშაოებს?

— ზამთარი შეაჩერებს მხოლოდ ბეტონის მილზე მუშაობას. გაზაფხულზე ხიდი მზად იქნება, ხიდი ერთი მხრივ ჩვენთვისაა საჭირო და მეორე მხრივ დიდ დახმარებას გაუწევს გლეხობას. ის შეამოკლებს გზას ნატახტარიდან მცხეთამდე 7 ვერსით.

— დააკმაყოფილებს თუ არა ნატახტარის წყალი თბილისს სავსებით?

— ნატახტრის წყალი თბილისს ეყოფა არამც თუ ეხლა, არამედ მაშინაც, რაც თბილისის მოსახლეობა 650.000 სულამდე გაიზრდება, ეს კი, სტატისტიკური სამმართველოს აზრით, იქნება 50 წლის შემდეგ.—ამის შემდეგ კი ნატახტარის წყალს შეუერთებენ ბულაჩაურის წყალს, რომელიც ღირსებით უკეთესია ვინემ ნატახტარის, მხოლოდ რაოდენობით კი ნაკლებია.

გავიარეთ გზა და მივედით ელსადგურში. აქამდე ელსადგური მუშაობდა თავისი საკუთარი ძრავით, დღეს კი იგი ზაჰესის ენერგიაზეა გადასული. წინანდელი ძრავი და ელექტრო მანქანა სამუშაოთა სამმართველომ გადასცა დუშეთის ალმასკომს.

დღეს სამუშაოებზე მუშაობს 400 კაცი, რომლებიც აქვე სცხოვრობენ ხის სახლებში. აქვეა სამკითხველო, ლამაზათ მორთული თეატრი, სასადილო, და სხვა. თეატრში ხშირად იმართება წარმოდგენები, რომლებსაც ესწრება გლეხების და მუშების უმრავლესობა.

საღამოს 5 საათია. დაიძრა ჩვენი მანქანა, დავემშვიდობე ნატახტარს

მალე თბილისი ეღირსება ნატახტარის წყაროს ცივ წყალს, რის შემდეგაც თბილისი თავისი წყალსადენით დაიჭერს მსოფლიოში მეორე ადგილს, ქ. რიგის შემდეგ.

შ. ფურცხვანიძე.

# აკაკი წერეთელი

აკაკი წერეთელი, რომლის გარდაცვალებიდან უკვე 15 წლიწადი შესრულდა, გასული საუკუნის ჩვენი მწერლობის მოწინავე რაზმის ერთი გამოჩენილი წევრთაგანი იყო.

მას მე-60 წლების მოღვაწეთა შორის მეტად თვალსაჩინო ადგილი ეკავა.

მე-60 წლები ჩვენს ცხოვრებაში დიდი გარდამტეხი წელი იყო. ეკონომიურად გაკოტრებული ფეოდალიზმის არსებობა ცხოვრების პროგრესს დამაბრკოლებელ ძალად ევლინებოდა. ეს ცხადი და იოლად დასანახი შეიქნა არა მარტო საზოგადოების მოწინავე ძალებისათვის, არამედ მთავრობის ოფიციალურ წრეებისათვისაც კი. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ მთავრობა იძულებულიც კი შეიქნა ფეოდალიზმის დასაყრდენი ინსტიტუტი ბატონყმობა ძირიდან გაეუქმებია.

საუკუნოებით შეთვისებული ფეოდალური ხანის ზნეჩვეულებანი ბატონყმობის მოსპობასთან ერთად ასე ერთი ხელის დაკვრით როდი მოსპობილა. მისი ზნე-ჩვეულება და ყოფა-ცხოვრების წესები ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ დიდხანს შერჩათ იმათაც კი, რომლებიც საზოგადოების მოწინავე რაზმებში იდგნენ. ძველი და ახალი ერთმანეთს დაუპირდაპირდა და გაიმართა სასტიკი და მწვავე ბრძოლა. მე-60 წლების მოღვაწეები და მათ შორის აკაკიც ამ ბრძოლაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა.

მე-60 წლების მოღვაწეებს ხშირად მიაწერენ იმას, რაც მათ არასოდეს არ ახასიათებდათ. მაგალითად სოციალისტობას და სოციალისტური აზრების ქადაგებას.

მაშ, რა დროშა ეკავათ მე-60 წლების მოღვაწეებს, რა შინაარსის იყო მათი ახალისადმი ტრფიალი, როგორი სამოქმედო პროგრამით გამოვიდნენ ცხოვრებაში და ვის ებრძოდენ და ან რისთვის იბრძოდენ?

ახალი ძალა, რომელსაც ძველის ადგილი უნდა დაეკავებია, ეს იყო ბურჟუაზია. ნაროდნიკებს სწამდათ ზღაპარი იმის შესახებ, რომ შეიძლება ფეოდალიზმიდან პირდაპირ სამოთხეში გადასვლა კაპიტალისტური ხანის გაუვლელად. ეს რწმენა ცხოვრების განვითარებამ დაამსხვრია და ნაცარტუტად აქცია.

ჩვენი მე-60 წლების მოღვაწეები უფრო რეალური პოლიტიკის ხალხნი იყვნენ, ვიდრე ნაროდნიკები და მათში ასეთ რწმენას დიდი გასავალი არასოდეს არ ქონია. ჩვენი მე-60 წლების მოღვაწეთა სამოთხე ეს წვრილი ბურჟუაზიული ურთიერთობის დამკვიდრება იყო. ამ ურთიერთობის დამკვიდრებისათვის ქადაგი მაშინდელ დროში დიდ მოწინავე აზრების ქადაგს შეიცავდა.

არ შეიძლება ითქვას, (და ეს არც სიმართლე იქნება) რომ ბურჟუაზიული რადიკალიზმი მე-60 წლების მოღვაწეთა ყველა წევრებს ბოლომდი ქონოდათ განვითარებული. ძველისადმი ხარკი



**აკაკი წერეთილე**

**გარდაცვალებიდან 11 წლის შესრულების გამო**

ბევრს კიდევ დიდხანს ახასიათებდა. ამით აიხსნება მათ მხატვრულ ნაწარმოებში შორეულ წარსულის ერთგვარი იდეალიზაცია. კერძოდ აკაკის ისტორიულ პოემა-დრამებში მეფეები და ბრწყინვალენი შარავანდედით არიან მოსილი. ეს გარემოება მარტო აკაკის არ ახასიათებდა. ილიას და სხვებსაც სჭირდათ ეს სენი. აკაკი იქამდისაც კი მივიდა, რომ პროფესორ ხახანაშვილთან კამათის დროს ბატონყმობა პატრონყმობათ მოხათლა.

მე-60 წლების პირველ რიგში აკაკის დიდ დამსახურებას მიეწერება ენის გაუბრალოება, გახალხოსნება. აკაკის ამაგი ამ მხრივ მეტად დიდია. ლიტერატურული რევოლიუცია მხოლოდ აკაკით იწყება. აკაკიმ ლიტერატურაში არა მარტო ახალი აზრები მოიტანა, არა მარტო ახალი ხალხი შემოიყვანა, არამედ მას ახალი ტანისამოსიც ჩააცვა, ახალი ფორმით მორთო. ძველი ენა, მეტად მძიმე და გაუგებარი, დატვირთული სასულიერო სიტყვების ლექსიკონით, აგებული სახარების სტილზე და ცნობილ დაბადების გამოთქმების მიხედვით დაამტვრია, გაახალხოსნა გაამდაბიურა და ხალხის ფართო მასებისათვის გასაგები გახადა. ენის ამ რეფორმისათვის მან დიდი ჯაფა და დიდი ბრძოლა გადაიტანა.

აკაკის არ სწამდა ხელოვნება ხელოვნებისათვის. აკაკის ხელოვნება ცხოვრებისათვის უნდოდა. აკაკის ლექსები, ეს თავის დროისა და გარემოების საყვირი იყო. ის მიწიერი პოეტი იყო. ის მიწას უმღეროდა. აკაკი ყვიროდა და აღვიძებდა ხალხს ფეოდალიზმის ძილისაგან. ის სულითა და გულით შეტრფოდა ჩვენი ცხოვრების გახახლებას.

მას წვრილი ბურჟუაზიული ურთიერთობის დროშა ეკავა და უნდოდა მთელი ქართველი ერი ამ დროშის ქვეშ დაეყენებია. მას არ სწამდა კლასობრივი ბრძოლა და ერის კლასებათ დაქუცმაცება. ასეთი ერის ღალატათ და ერის დაღუპვათ მიაჩნდა. ის მას უსამართლო მტრობა და დევნათ რაცხდა, კლასობრივ ბრძოლაში შურისა და გაუტანლობის მეტს ვერაფერს ხედავდა.

ის არსებულს არ იცავდა, პირიქით, მას მუდამ ებრძოდა. ის პოზიციონერი არასოდეს არ ყოფილა. ეს იმითაც აიხსნება, რომ არსებული ბურჟუაზიული რადიკალიზმის განხორციელებას არ შეიცავდა — თვითმპყრობელობის პირობებში ბურჟუაზიის ბანაკიდან რადიკალურად განწყობილ ელემენტებს საბრძოლველი და მოსაპოებელი კიდევ ბევრი რამ ქონდათ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია აკაკის დამოკიდებულება 1905 წლის რევოლიუციისადმი. ეს არსებითად ბურჟუაზიული რევოლიუცია ბურჟუაზიული მიზან-ამოცანებით (დამფუძნებელი კრება, პარლამენტი, პირდაპირი საყოველთაო და ფარული კენჭის ყრა) მე-60 წლების ბევრ მოღვაწეთათვის საფრთხობელად გადაიქცა. ზოგიერთთა რადიკალიზმი ამ რევოლიუციის მიმღეობამდი ვერ განვითარდა და ადრე გადატყდა. მაგალითად, ილიამ ამ რევოლიუციისადმი აშკარა მტრული დამოკიდებულება დაიკავა.

აკაკი პირიქით 1905 წლის რევოლიუციას სიხარულით და აღფრთოვანებით შეხვდა. აკაკი პირდაპირ გაიტაცა ამ რევოლიუციამ და გაყვა მის ტალღებს. აკაკისთვის სავსებით მისაღები შეიქნა ამ რევოლიუციის ლოზუნგი: ძმობა, ერთობა და სიყვარული. ეს ლოზუნგი თავის თავად არაფერს წარმოადგენს, მაგრამ აკაკიმ ის თავისებურად გაიგო, მასში მოათავსა მთლიანი საქართველოს იდეა ჰარმონიული და შეხმატკბილებული ერთობით და სიყვარულით. ის წყევლის და კრულავს იმათ, ვინც ამ ლოზუნგს არ იწამებს. ამ ლოზუნგის შინაარსს ის ასე გადმოგვცემს:

საერთაშორისო მტკიცე კავშირი
ეს არის ქრისტეს სწავლა და მცნება
საყოველთაო სამარადისო
და არ საწუთრო სიზმარ-ოცნება.

1905 წელს დაწერილ მის ლექსებს ახასიათებს ინტერნაციონალური მოტივებიც. ის ამ რევოლიუციამ უეჭველად ძლიერად გაიტაცა. ის ხედავს ამ რევოლიუციაში იმის ასრულებას, რასაც ხახევარ საუკუნის განმავლობაში ნატრობდა. მას სვიმონ მოხუცებულივით ნუგეშის სხივები მიეფინა. აღფრთოვანებულია მძინარე ხალხის გამოღვიძებით იმისათვის კი არა, რომ ქვეყნად სოციალიზმი დაამყაროს. არა, აკაკი აქამდი არასოდეს არ მიდის. მას 1905 წლის რევოლიუციაში ისეთი თავისუფლება აინტერესებს, როგორიცაა სიტყვის — მწერლობის კრება ერთობის. პოეტმა ამ რევოლიუციის გავლენით ზოგიერთ თავისი რწმენის გადაფასებაც კი მოახდინა. ღმერთი, მეფე და გმირები, რასაც ძველად აგრე თავგამოდებით უმღერდა და რაც ერთგვარი ხარკი იყო ძველი ცხოვრებისადმი, აკაკიმ 1905 წლის რევოლიუციის გავლენით გასწირა და ასე ამღერდა.

გაუმარჯოს მშრომელ მუშას,
მის მკლავსა და მის მარჯვენას;
სხვა სულ ყველა ტყუილია;
ღმერთი, მეფე, ვინმე გმირი;
ძალა არის შეერთება,
ერთი ლხინი, ერთი ჭირი.

პოეტს ისიც კი ესმის, რომ ამ დიდ საქმეს მსხვერპლი ესაჭიროება. ამას ცნობილ ლექსში ნატვრაში აშკარად ამბობს:

თქვენ მომკლები ხართ, ხელს თუ გაიქრით
ნუ ერიდებით ცოტა სისხლის ღვრას.
სხვაგან სწერს:
მსხვერპლი უნდა დიად საქმეს,
კავშირი და შეერთება.

აკაკის 1905 წლის რევოლიუციის მიმღეობაში ბურჟუაზიული რადიკალიზმის საზღვრები არ გადაულახავს. მისი ლოზუნგები არ იყო სოციალიზმის ქადაგების ლოზუნგები. ის მხოლოდ შესტრფოდა მძინარე ხალხის გამოღვიძებას და საშინელ მაჯლაჯუნა რუსეთის თვითმპყრობელობის დამხობას. აქ მას რუსეთის თვითმპყრობელობასთან ეროვნული ანგარიშიც ქონდა.

აკაკი კლასიკი არის და ისეთი კლასიკიც, რომლიდანაც თანამედროვე მწერლებს შეუძლიანთ ბევრი რამ ისწავლონ. აკაკი იმ დროის შვილია, რომლის დროის მოწინავე აზრები დღეს უკვე ჩამორჩენილ აზრებათ ითვლება. ამიტომაც მისი იდეოლოგია დღევანდელ მწერლისათვის მიუღებელია.

მაგრამ აკაკიდან უნდა ვისწავლოთ ენა და თანამედროვე ყოველდღიურ საჭირბოროტო საკითხებზე გამოხმაურება. აკაკი მშვენიერი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ემსახუროს მწერალი ხალხს და ხალხის ცხოვრების პროგრესიული გზით წარმართვას. აკაკის შემოქმედებას არაფერი არ დაუკარგია იმით, რომ ის გარემოების საყვირი იყო და ჩვენი ცხოვრების თითქმის მემატიანე. ცხოვრებასთან ახლო ყოფნამ, მის ცენტრში მოქცევამ, მისი მაჯის ცემის შეგრძნობამ, მისი მხატვრული შემოქმედება უკვდავჰყო.

ცხოვრებასთან ახლო, ცხოვრების ცენტრში ტრიალი, აი რა უნდა ვისწავლოთ აკაკიდან დღეს.

**ფარი.**



**ამხ. პეტროვსკის სახელობის მეტალურგიული ქარხანა-გიგანტი.** ამხ. პეტროვსკის სახ. მეტალურგიული ქარხანა ინტენსიურად ფართოვდება. ამჟამად თუჯის დნობა აღწევს 700 ათას ტონას. ხუთწლედის დასასრულს თუჯის დნობა მიაღწევს 1.200.000 ტონას, მარტენის და ბესემერის ფოლადის წარმოება 1932-33 წ. მიაღწევს 1.000.000 ტონას წინაალმდეგ 600.000 ტონის 1929 წ. ლითონის ტკეცა ამჟამად შეადგენს 600.000 ტონას, ხოლო ხუთწლედის დასასრულს მიაღწევს 1 მილიონ ტონას. კოქსის ცეხის პროდუქცია ხუთწლედის დასასრულს გაიზრდება ორჯერ, რაც შეადგენს 950.000 ტონას. წარმოებაში დაბანდებულ მუშების რიცხვი, რომელიც ამჟამად შეადგენს 24.000 კაცს, ხუთწლედის უკანასკნელ წელს გაიზრდება 30 პროცენტით და შეადგენს 31.200 კაცს.

**სურათზე — კაუპერები დომენის ღუმელების გასახურებლად.**



**ამერიკელ იმპერიალისტების სიტყვა და საქმე.** იანვარში, ლონდონში შესდგება დიდ სახელმწიფოების კონფერენცია შეიარაღების შეზღუდვის საკითხებზე. მიუხედავად ამისა სახელმწიფოები განაგრძობენ შეიარაღებას.

**სურათზე** — დროშის ამართვა ახლად აგებულ ამერიკულ კრეისერს „სოლტ-ლეიკ-სიტი“-ზე 10.000 ტონა წყალწყვით. კრეისერის ეკიპაჟს შეადგენს 44 ოფიცერი და 550 მეზღვაური. მისი ღირებულება განისაზღვრება 13.675.833 დოლარით.

# წაგებული ბრძოლა

მათ შორის მტრობა დაიწყო:

შემოდგომის ღრუბლიანი დღე ღამდებოდა. სასაფლაოს ეზოში მოზღვავებული ხალხი გაოცებული შესცქეროდა ეკლესიის სახურავს. იდგა სიჩუმე გულ ჩათხრობილი—სამარისებური. იდგა ჭადრები ფოთლებ გაცვენილი-გაცივებული და ოთხად მოკეცილი მღვდელი ისე ჩამომდგარიყო ამ ჭადრებს შორის, თითქოს ეფარებოდა უზარმაზარ და ტიტველ მორებს... იგიც ზღვა ხალხთან ერთად გაგიჟებით უყურებდა ეკლესიის სახურავს, რომელზედაც მიცოცავდა ფრთხილად ახალგაზრდა მკლავმაგარი და ჩაფსკვნილი.

— რას ხედავს ამას მღდვლის თვალები; ნუ თუ ეს არის სუსხიანი ხვედრი ამ ცხოვრებისა.. გადმოგვხედე ჩვენ..

მაგრამ ციდან მხოლოდ წვიმის ცივი წვეთები მოცვიოდა და ხან ალმა ხან დალმა ნოემბრის ქარი დააფრენდა გამხმარ ფოთლების ფარას...

ის ახალგაზრდა მაინც ნელა მიცოცავდა სახურავზე და ჰა მივიდა იგი დანიშნულ ალაგას, ნიადაგი ფეხების ბაკუნით გაშინჯა, ოფლი შეიშრო შუბლზე, წითელარმიელის ძაბრისებრივი ქუდი შეისწორა, ერთი შემოხედა მისკენ მიმართულ უამრავ თვალებს და ორივე ხელებით ჩააფრინდა ჯვარს კიდურებზე,.. დიდის წვალებით მოხსნა იგი და ორღობეში დამდგარ კუპრივით შავ ტალახში გადააგდო. შემდეგ ამოიღო ჯიბიდან წითელი ცხვირსახოცი და აქ გუმბათზე მოხერხებულად დაკიდა იგი. ცხვირსახოცი აფრიალდა როგორც ბრძოლის დროშა, თითქოს თავისკენ უძახოდა ამბოხებულ გულებს.

— ოოჰ! ამოიოხრა მღვდელმა. ჭადარს მიეყრდნო და ზღვა ხალხის გაქვავებული სახეები თავისუფლად აძოძრავდენ, თითქოს ისინი შორეული მგზავრები ყოფილიყვნენ და ჰა ეს არის მათი გემი დალუპვას გადაურჩა...

ყველაფერი გათავდა. ხალხი იშლებოდა შეღამებისას.

მღვდელი მოდიოდა ბორძიკით სახე წამოწითლებული. ნესტიან და ბინძურ შუკებში მოაბიჯებდა პირდაპირ, არ ერიდებოდა ტალახს და ტლაპოს.

— სულგრძელია, ჰმმ... იმეორებდა თავისთვის. ხელში მოგრეხილი კომბალი ეკავა და თვალწინ ამ ორღობეების ნაცვლად ,ის წითელარმიელის ძაბრის ქუდიანი ახალგაზრდა ეხატებოდა.

— დედა გეტირება შე გველის წიწილო, დედა!..

ხან და ხან იმ კომბალს ჰაერში ხმალივით შეატრიალებდა.. ორღობეებში გაავთრებული ბენდელა ძაღლები ყეფით და ღრენით უხვდებოდენ...

და მთელი ღამე ფიქრებმა დააჩრჩო. მღვდელი საწოლში წალმა უკუღმა ტრიალებდა, გულდაწყვეტილი-გამწარებული.

არა! ამ საშინელ მტერს თვითონ ღმერთი დაასამარებს; მოჰკლავს უდავოდ; მან აუჯანყა მღვდელს მთელი სოფელი და მყუდრო ცხოვრება სამუდამოთ დაურღვია...

კაცი არ ყოფილა, თუ ასეთმა ბავშებმა მოატყუილეს, მაშ არც ულვაშები ჰქონია, არც მოხერხება...

***

ერთ საღამოს ძაბრის ქუდიანი ახალგაზრდა მოვიდა მეურმეებით და ის ჯვარმომტვრეული ეკლესია დაანგრია, გამოსადეგი ფიცრები წაიღეს, აფთიაქის შენობას მოახმარეს. დანარჩენები იქვე მინდორზე დარჩა და შემოდგომის წვიმებმა დაალპო. და ეხლა უფრო გაბოროტებული-გულჩახვეული დადიოდა მღედელი. ხანდიხან ზოგიერთები ეუბნეოდენ კიდევაც.

— მამაო! თუ ჭამა გინდა, ყანაში მუშაობაც უნდა გინდოდეს. მოხანი მიწა, მერე ოროველა დაამღერე და ისე მოთოხნე...

მღვდელი ჭირვეულობდა, წითლდებოდა, ხელებს ასავსავებდა:

— არ შემიძლია მე მუშაობა არა... მოვკვდები...

მღვდელი წყევლად იყო გადაქცეული. დღეები მიდიოდენ...

***

ვინ არ იცნობდა ძაბრის ქუდიანს სოფელში. წინედ იგი საქონლის ნახირს მწყესავდა და მთელი დღე ფერად ყვავილებს კრეფდა... შემდეგ დღეები შეუმჩნევლად წავიდა. ძაბრის ქუდიანი გაიზარდა, ენა ამოიდგა და ეხლა იგრძნო მთლიანად, რომ მას დედა არ ჰყავდა, არც ჰქონდა ოჯახი... და თავის ბედს გინება დაუწყო. მალე სოფელში ჭკუა ასწავლეს. ნახირის პატრონს უჩივლა და თავისი ხელფასი „კისრიდან ამოსთხარა“.

შემდეგ სადღაც ერთი თაბახი თეთრი ქაღალდი იშოვნა და, ალმასკომის „მწერალს“ უშვეღებელი თხოვნა დააწერია: „ვარ გაჭირვებული. ვარ მწყემსი. ვარ ობოლი-ღაოიბი. ამიტომ გთხოვთ მიმიღოთ კომკავშირში“...

მას თხოვნა შეუსრულდა. სწორედ მაშინ იყიდა ეს ძაბრის ქუდი და შემდეგ არ მოუშორებია თავიდან.

ქალაქშიაც კი გაგზავნეს იგი ერთხელ. იქ რამდენიმე ხანი დარჩა და როდესაც სოფელში დაბრუნდა გლეხები გაოცებულნი დარჩნენ. მას ეცვა სუფთა გახამებული პერანგი და თმა ლამაზად ჰქონდა გადავარცხნილი..

— ქაა... ჩვენი ოსება ნასწავლი კაცი გამოსულა.

— ქაა... ნასწავლი და მერე როგორი?..

ძაბრის ქუდიანი ოსება მეცნიერობდა. ჩადგებოდა შემოკრებილ გლეხებს შორის და ალაპარაკდებოდა დედამიწის გაჩენაზე, მთვარის სინათლეზე და ქიმიურ ომზე.

— ოსება, ბიჭო, ვინ გააჩინა ადამიანი?...

— მაიმუნისაგან წარმოიშვა — სწრაფად უპასუხა ოსებამ და ეჭვიც არ შეეპარა ამის სისწორეში. გლეხმა კმაყოფილების და თანხმობის ნიშნად თავი ჩაიქნია...

...ვინ არ იცნობს ოსებას... ეხლა იგი უჯრედის მდივანია. წინედ იყო ობოლი, ნახირს მწყესავდა და მთელი დღე ფერად ყვავილებს კრეფდა...

***

შემოდგომის სუსხიანმა დარებმა ისევ აალაპარაკა მღვდელი:

გლეხების გასაგონად გადაკეტილ ოთახში ლოცულობდა იგი ოთხად მოკეცილი-დაფიქრებული. გარეთ კი წვიმდა კოკისპირულად, ხომალივით ღრუბლები ისე დაბლა მოსცურავდენ, რომ ბევრს ეგონებოდა შეიძლება ხელი წაავლო.

სოფელში კი ბევრს სჯეროდა:—წუხელის შუაღამისას, ღრმა ძილის დროს, ჩვენ მღვდელს ანგელოზი გამოსცხადებია და უთქვამს ასე ელოდეს რისხვას ვინც არს ურწმუნო...

მაშ ეშინოდეს ძაბრის ქუდიან ოსებას. აბა როგორ ეგონა: მიაკეტა ეკლესია, ის წმინდა ნაწილები ტალახში ამოსთხვარა და შერჩებოდა მერე ყველაფერი ეს?.,

ბევრს კი ასეთი ჭორების სრულიად არაფერი სჯეროდა, თვითონ ოსება ამის გაგონებაზე უდარდელად ხარხარობდა მთელი ათი წუთი:

— ამხანაგებო! ყველაფერი ვიცით უკვე. მღვდელი პროვოკაციას აწყობს... აი ვნახოთ ხვალ და ზეგ...

თვითონ ნახავთ, თქვენ თვითონ გაიგებთ მოულოდნელ ამბავს...

სოფელში მოვიდა წვიმა. ადიდებული მდინარეები ხრიალით ეშვებოდენ ხევში. ჰქროდა ცივი ქარი, უზარმაზარი ხეები ცოცხლებივით იოხეოდენ და ბილიკებზე ჩამოხორგილი ქვები უწესრიგოდ ეყარა

ღამით, მთვარის ამოსვლამდე, როცა ჯერ ისევ ბნელოდა, მღვდლის ეზომდე ფორთხვით მოვიდა შეიარაღებული ძაბრის ქუდიანი ერთი ამხანაგით;

— ეიი მაინძელო...ო...

დაიძახა პირველმა ღრმა აღელვებით. ეს ყიჟინა თვალგადაუწვდენელი ხევების იქით ზრიალით გადაიკარგა. ცოტა ხნით ადრე აქ იდგა სიჩუმე. ეხლა შეშინებული ძაღლები ყეფენ და ყმუიან. ოდის კარებთან თავი ხვლიკივით გამოყო მღვდელმა.

— ჰეი, ჰეი ვინ მეძახის!.

— გვნახეთ ჩვენ ვართ..'

ოსებას ხმა იცნო მღვდელმა, შეეშინდა და კარებისკენ არ წავიდა, მაგრამ ახალგაზრდები აქეთ მოვიდენ, მღვდელი დააპატიმრეს და იმავე ღამეს დედის გინებით ქალაქში წაიყვანეს.. მღვდელი ამათ შუა ჩამდგარი მოდიოდა მთელ გზაზე და ყოველ ნაბიჯზე ბორძიკით თავს იკავებდა წაქცევისაგან...

სოფელში არავინ იცოდა რით აეხსნათ ასეთი ქცევა. ეს ამბავი ყველასათვის მოულოდნელი და უჩვეულო შეიქნა...

მაგრამ ქალაქიდან მალე ამბავი მოვიდა თურმე მღვდელს ჰქონია გეგმად ძაბრის ქუდიან ოსებაზე მოეხდინა თავდასხმა. ერთ ღამეს ვიღაც უცნობი კაცი მისი სტუმარი ყოფილა და განუწყვეტლად ანათებდა ლამფა ოთახიდან. ღამის მწერები ეცემოდენ ფანჯარაზე და გულგახეთქილნი იქვე წვალებით კვდებოდენ, ისინი საუბრობდენ დაბალი-შფოთვარე ტონით და იმავე ღამესვე წასულან—დაუთვალიერებიათ უძირო ხრამი რომლის შორეულ ფსკერზე სილისფერი წყალი კიაფობს... იმ უცნობ სტუმარს აქ ერთი პატარა ქვა გადაუგორებია, ფერდობზე ეს ქვა ხორგს მოდებულა და მთელი ზვავი წყალში ხრიალით ჩაცვენილა...

აქ გამოივლიდა ყოველ დილას ძაბრის ქუდიანი. ხელში წიგნებით და საწერ ქაღალდით. აქ ჩასაფრებულა უცნობი სტუმარი და ვინ იცის რა განზრახვა ჰქონდა მას გულში.

ეხლა ქალაქში მღვდელი ფიცულობდა, რომ მას უნდოდა მხოლოდ გაელახებინა ძაბრის ქუდიანი და მეტი არაფერი. ეძიეს ის უცნობი კაცი, მღვდელმა კიდევაც დაასახელა მისი პიროვნება, მაგრამ ვერსად იპოვნეს...

სოფელში უკვირდათ;—როგორ გაიგო ყველაფერი ეს ჩვენმა ოსებამ?.. ბევრ ხანს დადიოდა, როგორც ლეგენდა ეგ ამბავი, სოფლის დედაკაცები ათასნაირად აფართოვებდენ და ალამაზებდენ მას, მაგრამ დაბოლოს მაინც თანდათან ყველაფერი დავიწყებას მიეცა.

ზაფხულის მშვენიერი დარები იდგა და გამჭვირვალე ცაში ლვინისფერი მელელვიები გაჰკიოდენ:

— ჭკიი...ი ჭკიიიი—იტ...

**მ. გვასალია.**

# გალაქტიონ ტაბიძე

## „ეპოქა“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი დღევანდელი ლიტერატურის საშუალო თაობის პოეტებს შორის გალაქტიონ ტაბიძე, უეჭველად ერთი უდიდესი ფიგურაა.

სევდის ჰანგებით, ზოგჯერ უიმედო სევდის ჰანგებითაც კი, სავსე იყო მისი პირვანდელი ლექსები. თვითმპყრობელობის დროინდელი არსებული პირობები მას არ აკმაყოფილებდა, ის ერთი წუთიც კი არ ყოფილა მთვრალი მეშჩანური კმაყოფილებით, რაც იყო მაშინდელ სინამდვილეში. ის მისთვის შავი იყო, მურიანი, მიუღებელი. მაგრამ პოეტს არ აღმოაჩნდა იმოდენი ძალა და მხნეობა, რომ მას ბრძოლაში შებმოდა და თუმცა ცხოვრების სიდუხჭირეს ქედი არ მოუხარა და ფარხმალი არ დაუყარა, მაგრამ ირჩია ნაკლები წინააღმდეგობის გზა და ოხვრა-გოდებას მისცა თავი.

გალაქტიონ ტაბიძე ჩვენს პოეტობაში ერთი იმ იშვიათ პოეტთაგანია, რომლის ყოველი ახალი წიგნი მისი წინსვლის და მისი გამარჯვების მაჩვენებელია და არა უშნოთა და უფრო დაბალი ხარისხით გადამღერება იმისა, რაც ოდესღაც დაუწერია. გალაქტიონი წიგნიდან-წიგნამდი იზრდება და სულ უფრო ახლო და ახლო მიდის მუშათა კლასთან, რევოლიუციასთან, მებრძოლ პროლეტარიატთან. მის ზრდას რევოლიუციისაკენ აქვს გზა, ის აქეთ მოემართება და ზრდის პროცესში უფრო მჭიდროდ და მჭიდროდ ედუღება მას.

მისი უკანასკნელი ნაწარმოები „ეპოქა,“ რომელიც ამ რამოდენიმე დღის წინად ცალკე წიგნათაც გამოვიდ, დიდი მოვლენაა და პოეტის იდეოლოგიური ზრდის საუკეთესო მაჩვენებელი. გალაქტიონი რევოლიუციისა და ეპოქის მიმღეობაშიაც არა გავს სხვა ჩვენს პოეტებს და აქ ის ძველი ხურჯინით და ძველი ბაგაჟით კი არ მოდის, არამედ ლიკვიდაციას უშვრება, როგორც თავისი ოხვრა-გოდებას, ისე გულუბრყვილო ტკბილ გრძნობიერებასაც. ეს გარემოებაა მიზეზი, რომ მისი ეპოქის მიმღეობა უფრო ღრმაა, თამამი გაბედული.

„ეპოქა“ პოემა არ არის, ის სიუჟეტით არც მთლიან ნაწარმოებს წარმოადგენს. მასში მოცემულია ასეული ლექსები ეპოქაზე, ეპოქის სხვადასხვა მომენტებზე, ეპოქის სოციალისტური დაჯგუფება იდეოლოგიურ სახლ-კარზე. პოეტის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მას მარჯვედ აქვს გამოჭერილი ეპოქის მთავარი და ძლიერი მომენტები.

აი ყოველივე ის, რაც დადებითია ამ ნაწარმოებში. მაგრამ მარტო დადებითი მხარეები არ ამოსწურავს მის შინაარს. ზოგი რამ უარყოფითიც უნდა ითქვას. უპირველეს ყოვლის უნდა აღინიშნოს, რომ სარეცენზიო ნაწარმოები დეკლარაციაა, საზეიმო თქმა და არა კონკრეტული ასახვა ეპოქისა· უეჭველად არის მისვლა ეპოქასთან, გაგება ეპოქის სულის, მაგრამ პოეტს მთლად დამაკმაყოფილებლად ჯერ კიდევ ვერ ეხერხება ამ ეპოქის დაბლა პოეტურ სახეობებში მისი კონკრეტული შინაარსის მხატვრული სახეებით მოცემა. ის კიდევ ხედავს ამ ცხოვრებაში რაღაც გაურკვევლობას. მართალია ახლა პოეტი ამის გამო წუწუნს არ ეძლევა, პირიქით მას ახლა გაგონებაც კი არ უნდა „ჭიანურ ს და თარის ქვითინსა“, „პოეტი ახლა ახალი სიცოცხლით უნდა შეიქმნეს სავსე“ ამიერიდან პოეტის ბაგეს არ უნდა აღმოხდეს: „უიმედობა, კვნესა წუწუნი“,



გალაქტიონ ტაბიძე

„დ ე კ ა ნ დ ა ს ი ს ხანას“ ზურგი უნდა ვაბრუნოთ. მას ესეც არ მიაჩნია საკმაოდ და უფრო შორსაც მიდის. პოეტი წინააღმდეგია დღეს განზე დგომისა და შორიდან ცქერისაც. ასეთი პოეტი „პოეტს დრო გადასულად და მოხუცად მიაჩნია“. ახლა განზე დგომა კი არა, მასიურ ტალღებთან შედუღებაა საჭირო—გაიძახის პოეტი.

მაგრამ პოეტი ძველი ხარკიდან სავსებით განთავისუფლებული მაინც არ არის მას კიდევ წასცდება სიმღერა ძველი. მას კიდევ ეგულვება ბედნიერი სოფელი, კიდევ ლაპარაკობს ძველ ჯარის კაცზე, როგორც საბრალო არსებაზე, კიდევ ოცნებობს და ფიქრებს ეძლევა ბედის ხომალდებზე' ზოგჯერ კიდევ დაეჭვიანდება და კითხვითი ნიშნის ქვეშ აყენებს, აქა-იქ ის თავის გმირს სიფხიზლით ნაცვლად დაძინებას ურჩევს. ასეთი გადავარდნები, გამოწვეული ძველის ხარკით, სხვაც ბევრი აქვს.

სარეცენზიო წიგნის კითხვის ხალისს და ინტერესს აძლიერებს ლექსის წყობის ნაირობა და ფერთა სიმრავლე ამ მხრივ პოეტი პირდაპირ ვირტუოზულ ნიჭს იჩენს და ყოველ ახალ გვერდს ანსხვავებს წინა გვერდთან. პოეტის მაღალი ნიჭით უნდა აიხსნას, რომ ერთ წიგნში თითქმის მთელი ქართული მწერლობა ლექსით წერის მხრივ დასწურა. მისი ლექსი ხან რაკრაკით მიიმართება, ხან ხლაზნით მოდის, ზოგჯერ ანცია, ზოგჯერ ბრაზიანი და მუქარით სავსე.

ის აკაკის სიმსუბუქ თ და რაკრაკით სულ ოთხიოდე სტრიქონში იძლევა მთელ ინდუსტრიალიზაციას და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას.

> წინანდელი თიხის ყანა
> დარჩა მამაპაპასთანა
> შეესია ტრაქტორები
> კვალი კვალზე გაიტანა
> ინჟენერი თუ ხარ განა
> ცოტა არის გამოცანა
> სახლი დადგა იმისთანა
> საუბრობდეს ღრუბლებთანა.

ილიასებური სიდინჯით და სიმძიმით მოგვითხრობს პოეტი.

> ღვიძავს რკინის გზის სახელოსნოებს
> ბორბლებს, რესორებს, რონოდების, რელსებს
> ქურა აღვივებს და ასხივოსნებს
> ყველაფერს რასაც აქ შრომა ეძებს და სხვა.

შემდეგ ევდოშვილ-რუხაძის ენით პოეტი გაბრაზებული ამობს

> ის მონა არის მონა საბრალო
> თვალთმაქცი მონა და უბედური.

ვიმეორებთ ლექსის წყობის ასეთი ნაირობა პოეტის უდიდესი ღირსებაა, მისი მაღალი ნიჭის მაჩვენებელია და არა ნაკლი.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ქართულ თანამგზავრულ ლიტერატურაში თავისი დიდი ღირსებითა და თვისებით ამისი ფასი ჯერ არაფერი დაწერილა.

აქ გაბედულად და თამამად არის ნათქვამი ის, რასაც სხვები აგრე მორცხვად და აგრე გაჭირვებით ამბობენ. მისი თქმა არ არის დადაღული და პოეტი იღებს ეპოქისას არა მარტო კულტურულ მშენებლობას, არამედ სიძნელეებსაც.

პოეტს რევოლიუციის თარიღი აქვს ჩვიდმეტი წელი. ჩვიდმეტში ორი რევოლიუცია იყო—თებერვლის და ოქტომბრის. ვინაიდან მას რევოლიუცია ზოგადი გზებით და საზეიმო თემებით აქვს მოცემული, უმჯობესი იქნება უფრო გარკვეული სახელებით ელაპარაკა.

**გ. მებუკე.**

# სისხლიანი კვირის 25 წლის თავი

1905 წ. (22) იანვარი უდიდესი მიჯნაა რუსეთის მუშათა მოძრაობაში. სისხლ·ს მსმელი მეფის ჯალათების ტყვიების ზუზუნში დაიფერფლა და გაქრა არა მარტო ის გულუბრყვილო იმედი (რომელიც კიდევ ჰქონდა მუშათა კლასის საგრძნობ ნაწილს), (თითქო მშრომელთა ცხოვრების უკუღმართი პირობები გამოწვეულია იმით, რომ „მამა-მეფემ" არაფერი იცის მის შესახებ და საკმაოა მან გაიგოს მის ხელქვეითთა ბოროტების შესახ ბ და მყის ყველაფერი გამოსწორდება), ამ დღემ სასიკვდილო ლახვარი ჩასცა აგრეთვე იმ მიმდინარეობასაც მუშათა კლასში, რომელიც ცნობილია „ეკონომიზმის" სახელწოდებით და რომელიც მუშათა კლასს ურჩევდა ბრძოლას მარტოოდენ ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, პოლიტიკურ უფლებებისათვის ბრძოლას კი ლიბერალების მოვალეობად თვლიდა. ამასთან ერთად 9 იანვრის ამბებმა საბოლოოდ მოუღეს ბოლო ე. წ. „პოლიციურ სოციალიზმს", რომლის საშუალებითაც ყველაზე შორსმჭვრეტელნი თვითმპყრობელობის წარმომადგენლებიდან სცდილობდენ მუშათა კლასი აეცილებიათ პოლიტიკური ბრძოლის გზას.



9 იანვარი 1905 წელი პეტერბურგში სასახლის ქუჩაზე.

მრავალ ასეულ მოკლულთა გვამები, რომლებიც რამოდენიმე დღის განმავლობაში ეყარა პეტერბურგის ქუჩებსა და მოედნებზე, მჭერმეტყველურად უმტკიცებდა მუშათა კლასის გულბრყვილო და ჩამორჩენილ ნაწილს, რომ „მამა მეფე" იმ შაიკის მეთაურია, რომელიც ყვლეფს და ჩაგრავს მას, რომ პოლიტიკური უფლებისათვის ბრძოლის გარეშე შეუძლებელია მუქთახორების ბატონობისაგან განთავისუფლება, რომ მუშების ნამდვილი ხელმძღვანელი არის არა პოლიციელი ზუბატოვის და გიორგი გაპონის ნახევრად პოლიციურ და ნახევრად მისტიური ორგანიზაცია, არამედ რევოლიუციონური სოციალ-დემოკრატია.

9 იანვრის ამბებმა ღრმა გარდატეხა მოახდინა რუსეთის მუშათა კლასის განწყობილებაში და ერთბაშად არაჩვეულებრივად გაზარდა რევოლიუციონური სოციალ-დემოკრატიის ავტორიტეტი.

ლენინმა, როგორც კი ემიგრაციაში მიაღწია ცნობებმა სისხლიანი კვირის შესახებ, ამ ამბებს რუსეთის რევოლიუციის დასაწყისი უწოდა. ჩვენ ვიცით, რომ 9 იანვრის ამგვარი შეფასება სავსებით გაამართლა მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ.

***

მუშათა მასების მოძრაობა, რომელსაც უკრაინელი ხუცესი გ. გაპონი ხელმძღვანელობდა, წარმოადგენდა „პოლიციური სოციალიზმის" ერთ ერთ სახეს. მართალია, იქ სანკტ-პეტერბურგის რუს საქარხნო-საფაბრიკო მუშათა კრების მოწყობა გარეგნულად ზუბატოვისა და მისი აგენტების მონაწილეობის გარეშე მოხდა, მაგრამ ახლა უკვე უდავოთ არის დამტკიცებული, რომ საზოგადოების მოწყობა ზუბატოვის ლოცვა-კურთხევით და აქტიური დახმარებით მიმდინარეობდა. მთავარი მიზეზი, რამაც აიძულა გამოქნილი პოლიციელი ზუბატოვი ასპარეზი დაეთმო გაპონისათვის, მდგომარეობდა იმ მარცხში, რომელიც ზუბატოვის მიერ მოწყობილმა მუშათა ორგანიზაციებმა განიცადეს ამ დროისათვის: ამ კავშირს ერთის მხრით ალმაცერად უყურებდნენ თვით მრეწველები, რომლებმაც დაინახეს, რომ ზუბატოვის მოოქროული პოლიციური ლაგამი ვერ აკავებს მუშებს ეკონომიური მოთხოვნილებებისაგან; მეორე მხრივ თვით მუშათა მასებმაც დაინახეს, თუ რას წარმოადგენენ ზუბატოვის ორგანიზაციები და დაიწყეს მისგან ჩამოშორება. გარდა ამისა, პეტერბურგში სოციალ-დემოკრატია უკვე მრავალი წლების განმავლობაში აწარმოებდა რევოლიუციონურ მუშაობას და ზუბატოვის აგენტებმა ვერ მოახერხეს იქ პოლიციური მუშათა ორგანიზაციების შექმნა. პეტერბურგის მუშები, ყოველ შე თხვევაში მოწინავე მუშათა ის ჯგუფი, რომელიც გაპონმა თავის გარშემო შემოიკრიბა, პირველ ხანებში უნდობლობით უცქერდა გაპონს და უკანასკნელს დიდი მუშაობა დასჭირდა, სანამ უნდობლობის ამ კედელს გაარღვევდა. ჯერ კიდევ გამორკვეული არ არის, თუ რა დამოკიდებულებაში იმყოფებოდა გაპონი „ოხრანკასთან" თავისი მოღვაწეობის პირველ ხანებში, არ არის იმის დამამტკიცებელი საბუთები, რომ იგი პოლიციის აგენტი იყო, თუმცა თავისი ორგანიზაციებისათვის დახმარებას იღებდა პოლიციიდან და ურთიერთობა ჰქონდა ზუბატოვთან და პოლიციური რეჟიმის სხვა ბურჯებთან. ადვილი შესაძლებელია, პოლიციას ჰქონდა იმედი, რომ გაპონის ორგანიზაციებს თავისი მიზნებისათვის გამოიყენებდა, გაპონი კი პოლიციის დახმარებით თავის სოციალისტურ-მისტიურ სოციალური მისწრაფებების განხორციელებას აპირებდა.

***

ოფიციალურად გაპონის მიერ მოწყობილი „სანკტ პეტერბურგის რუს საქარხნო-საფაბრიკო მუშათა კრება" გაიხსნა 1904 წ. 11 აპრილს. საკმაოა გავეცნოთ **კრების** მიზნებს, რათა ნათელი შეიქნეს, რომ მისი დამაარსებლები იმავე ამოცანას ისახავდენ, რასაც ზუბატოვის ორგანიზაციები: მუშების არიდებას პოლიტიკური ბრძოლისათვის. „კრების" მიზნებს შორის არის: ა) სამუშაოსაგან თავისუფალი დროის გატარება ფხიზლად და გონივრულად, მათთვის (მუშებისათვის) ნამდვილი სარგებლობით, როგორც სულიერ-მორალური, ისე მატერიალური თვალსაზრისით, ბ) მუშა წევრებს შორის რუსული ნაციონალური თვითშეგნების განმტკიცება, გ) მუშებში მათი უფლება-მოვალეობათა შესახებ გონივრული წ რმოდგენის წარმოშობისა და განვითარებისათვის ხელის შეწყობა, დ) თვითმოქმედება, რომელიც ხელს შეუწყობს მუშათა შრომის პირობებისა და ცხოვრების კანონიერ გაუმჯობესებას.

მაგრამ „კრების" ორგანიზაციების სურვილის წინააღმდეგ მოხდა პირიქით. საუბრები და მოხსენებები პოლიციისაგან თითქო დაშორებულ თემებზე, ძალაუნებურად აყენებდენ მუშების წინაშე პოლიტიკურ კითხვებს; თავიანთი ცხოვრებისა და მუშაობის პირობების გაზიარება ერთმანეთისათვის ნათელყოფდა მუშებისათვის მათ **უუფლებო** მდგომარეობას და მათ შეგნებაში უნებლიეთ ერთმანეთთან აკავშირებდა ეკონომიურ და უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლას. სხვადასხვა ქვეყნების კონსტიტუციებთან გაცნობა საშუალებას აძლევდა მუშებს დაენახათ, რომ თვითმპყრობელობა სულს უხუთავს არა მარტო რუსეთის იმპერიის მშრომელთ, არამედ იგი საერთაშორისო ჟანდარმის როლსაც ასრულებს. ამრიგად „პოლიტიკურ კავშირის" წევრებში თანდათან იზრდებოდა პოლიტიკური თვითშეგნება, რასაც ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ მთელი რიგი რევოლიუციონური სოციალ-დემოკრატები ენერგიულ მუშაობას აწარმოებდნენ გაპონის ორგანიზაციის წევრებს შორის, რასაკვირველია, არა იმისათვის, რომ ორგანიზაციის წევრებში გაევრცელებინათ რევოლიუციონური სოციალ-დემოკრატიის პრინციპები.

ამრიგად ორგანიზატორების მისწრაფებების და სურვილების წინააღმდეგ, კავშირის წევრები ვერ ასცდნენ „წყეულ" პოლიტიკურ საკითხებს და თავიანთი „შრომის პირობებისა და ცხოვრების გაუმჯობესების მიზნით „კანონიერი" საშუალების მაგიერ მიმართავდნენ რევოლიუციონურ მეთოდებს.

***

ცხრა იანვრის ამბების უშუალო მიზეზი შეიქნა ოთხი მუშის დათხოვნა პუტილოვის ქარხანაში. ზოგიერთების აზრით*) ამ მუშების და-

*) იხ. ს. აიზნაფტ—„Зубатовшина и гапоновщина", გვ. 136.

თხოვნა 1904 წ. დეკემბერში წარმოადგენდა მრეწველების მანევრს, რომლის მიზანი იყო „გაპონის ორგანიზაციებისადმი მთავრობის ნდობის შერყევა და საბაბის შექმნა „მუშათა კრების“ დაშლის მოსათხოვად, რადგან ამ დროისთვის „მუშათა კრება“ „გახდა მრისხანე ძალა, რომლის ზრდას არ შეეძლო შიში არ გამოეწვია მრეწველთა წრეში“. გაპონი შეეცადა საქმე მშვიდობიანი გზით მოეგვარებია, მაგრამ ქარხნის ადმინისტრაციამ ლაპარაკიც კი არ ისურვა დათხოვნილ მუშების (გაპონის ორგანიზაციის წევრების) უკან მიღებაზე. 3 იანვარს პუტილოვის ქარხანა გაიფიცა. გაფიცულებმა დათხოვნილი მუშების უკან მიღების გარდა წამოაყენეს მთელი რიგი დამატებითი მოთხოვნილებები: 8 საათის სამუშაო დღე, მამაკაცებისა და ქალების ხელფასის გათანასწორება და სხვ. პუტილოვის ქარხანას ჩქარა მიემხრენ მთელ რიგ სხვა ფაბრიკა-ქარხნების მუშები. ექვს იანვრისათვის გაფიცული იყო უკვე 200 ათასი კაცი.

კრებებზე, რომლებიც „კავშირის“ განყოფილებების ინიციატივით ეწყობოდა, წარმოიშვა მეფის სასახლესთან თავმოყრის და მეფისათვის მუშათა ჭირვარამის გაცნობის აზრი. აი აქ ჩნდება სცენაზე გაპონის ცნობილი პეტიცია, რომლის წარმოშობა უშუალოდ არ არის დაკავშირებული 9 იანვრის ამბებთან. გაპონი ჯერ კიდევ ორგანიზაციის შექმნის პირველ დღეებში *) თავის გარშემო შემოკრებილ მუშებს ბუნდოვნად ელაპარაკებოდა რაღაც პეტიციაზე, რომელიც წარმოადგენდა მის „კრედოს“—მოქმედების პროგრამას. არის ზოგიერთი ცნობები, რომ გაპონის პეტიციის გადამუშავებაში, საქმის ახალ ვითარებასთან შეფარდებით, აქტიური მონაწილეობას იღებდენ რუსეთის „ეკონომიზმის“ წარმომადგენლები**). ეს პეტიცია წაკითხული იქნა მუშათა მრავალრიცხოვან კრებებზე და მოკლე ხანში რამდენიმე ათას ხელისმოწერით დაიფარა. ეჭვს გარეშეა, რომ გაპონისა და მისი მომხრეების გადაწყვეტილებაში დაეკავებიათ მრავალი ათასი მუშის მსვლელობის ხელმძღვანელობა და მეფისათვის წარედგინათ პეტიცია, რომელიც ეკონომიურ მოთხოვნილებებთან ერთად პოლიტიკურ მოთხოვნილებებსაც შეიცავდნენ, უდიდესი როლი ითამაშა რევოლიუციონური განწყობილების საერთო ზრდამ რუსეთის მუშებში.

***

მსვლელობა დანიშნულ იქნა 9 (22) იანვრისათვის. მთავრობა და პეტერბურგის ადმინისტრაცია გაპონმა გააფრთხილა მსვლელობის შესახებ. გარდა ამისა, გაპონმა წერილი გაუგზავნა ნიკოლოზ II და სთხოვა სასახლის აივანზე გამოსვლა პეტიციის მისაღებად. რომ მთავრობას აეკრძალა მსვლელობა, ადვილი შესაძლებელია, რომ 9 იანვრის ხოცვა-ჟლეტა თავიდან იქნებოდა აცილებული, ყოველ შემთხვევაში მუშათა მასისათვის მეფის ჯარების თავდასხმა არ იქნებოდა მოულოდნელი და მსხვერპლი ნაკლები იქნებოდა. მაგრამ მთავრობას თითიც არ გაუნძრევია წინასწარ მსვლელობის ჩაშაშლელად. მას სჭყუროდა მუშებისათვის სისხლიან აბანოს მოწყობა და თავისი გარეგნული დუმილით მოამზადა ის ხაფანგი, რომლის მსხვერპლი შეიქნა მსვლელობის მრავალი ათასი მონაწილე და ბევრი უდანაშაულო გარეშე ხალხი. მთავრობამ ფეხზე დააყენა პეტერბურგის და მისი მიდამოების მთელი გარნიზონი, პოლიცია და ჟანდარმერია, რომლებიც წინასწარ იქნენ განაწილებული სტრატეგიულ პუნქტებში.*) ხატებით და საეკლესიო ბაირაღებით „შეიარაღებულ“ მუშებს გაუფრთხილებლად სროლა აუტეხეს მსვლელობის გზაზე დაბანაკებულმა ჯარებმა. გამეფდა საშინელი პანიკა, გაისმა ქალებისა და ბავშვების გულშემზარავი წივილ-კივილი. ვერაგულმა თავდასხმამ ერთბაშად გადამჭრელი გარდატეხა მოახდინა მასაში. გაჰქრა გულუბრყვილო იმედი, რომ მათ ჭირვარამს გააქრობდა „მამა-მეფე“. „ჩვენ ამიერიდან არ გვყავს მეფეო“—წამოიძახა გაპონმა. მუშათა მასა თავისით მიხვდა, სისხლიანი გაკვეთილის ზეგავლენით, რომ მეფე მკვლელების და მყვლეფელების ბანდის მეთაურია. როცა პანიკის პირველმა წუთებმა განვლო, მუშები შეეცადნენ წინააღმდეგობა გაეწიათ ჯარებისათვის. ზოგან საქმე მივიდა ბარიკადების მოწყობამდე და იარაღის მაღაზიის დარბევამდე.

საღამოსთვის მეფის ჯალათები უკვე ზეიმობდნენ სრულ გამარჯვებას. ქუჩაში კი ეყარა მოკლულთა გვამები. მოკლულთა რაოდენობა იმდენად დიდი იყო, რომ ვერ მოასწრეს მათი აღება.

ასე დასრულდა მუშათა გულუბრყვილო, ჩამორჩენილი ნაწილის მსვლელობა მეფესთან თავის ჭირვარამის საამბობათ. მუშათა ამ ნაწილმა მიიღო თვალსაჩინო გაკვეთილი. და ამ ერთი დღის გაკვეთილმა მათი პოლიტიკური შეგნება თვალსაჩინოდ აამაღლა.

9 იანვრის ამბების შემდეგ შეიქნა ფართო შესაძლებლობა რევოლიუციონური სოციალ-დემოკრატიის აგიტაციისათვის, შეიქმნა ნოყიერი ნიადაგი 1905 წ. რევოლიუციისათვის.

**ე. ღულაძე.**

---

*) ლენინი ტ. VI (1922 წ. გამოცემა), შენიშვნა 67.

**) ს. აიზნაფტის იმავე წიგნში ამხ. მ. პოკროვსკის ბოლოსიტყვაობა.

*) ჯარის ნაწილები, რომლებიც მთავრობამ გაიწვია 9 იანვარის სისხლიან აბანოს მოსაწყობათ, შემდეგია: პრეობრაჟენსკის პოლკის 1 ბატალიონი. ლ.-გვ. სემიონოვის პოლკის—4 ბატ., პავლოვის პოლკის—4 ბატ., 24-ე ქვეითი დივიზიის 1/2 ბატ., კავალერგვარდია 2 ესკადრონი, იზმაილოვის პოლკის 4 ბატ., ლ.-გვ. მსროლელთა პოლკია—1 ბატ., ეგერთა პოლკის 4 ბატ., გვარდიის ეკიპაჟის 1 ბატ., ცხენოსანი პოლკის 2 ესკადრონი, დონის კაზაკთა პოლკის 4 ასეული, 24-ე დივიზიის 1 ბატ.

---

# საყურადღებო გამოფენა

### (მხატვარ მახარობლიძის სურათების გამოფენა).

თბილისში არსებობს ქართველ მთიელთა კულტურული საზოგადოება. თუმცა ეს საზოგადოება ჯერ-ჯერობით მთლიანად ვერ ასრულებს იმ დიდ მოვალეობას, რომელიც მას აქვს დაკისრებული საბჭოთა საზოგადოებრიობის მიერ, მაგრამ მისი საქმიანობა უფრო და უფრო თვალსაჩინო ხდება.

ასეთ საქმიანობად უნდა ჩაითვალოს მხატვარ მახარობლიძის აღმოჩენა ლეჩხუმ-სვანეთის საზღვარზე, სადაც თავდადებით შესდგომია მხატვარი ამ ორი პროვინციის ცხოვრების მხატვრულად ასახვას.

მართალია ამ სურათების უმრავლესობა ესკიზებშია მოცემული. მართალია ისიც, რომ ამ ესკიზებში ეტნოგრაფიული, რელიგიური და ინდივიდუალური თვისების ნაშრომებიც არის, მაგრამ თემატიურად გამოფენა წარმოადგენს ახალ სიტყვას ქართულ მხატვრობაში. ალბათ ამ სიახლემ შეაშფოთა ქართველ მხატვართა საზოგადოება, რომელმაც თავის დროზე უშუალოდ არ მიიღო არავითარი ზომა ამ გამოფენის მოსაწყობად. ეს ფაქტი მხედველობაში უნდა იქონიოს ყველამ, ვინც ამ საზოგადოების საქმიანობას (უკეთ უსაქმობას ბ. გ.) იცავს.

შეიძლება მკითხველმა იფიქროს, რომ იქნებ ჩუმი ხატვარის ნამუშევრები არ იყო ამის ღირსი. შეიძლება თვით



ნახატი მახარობლიძის

ლეჩხუმის აჯანყება 1918 წ.

**საზოგადოების ხელმძღვანელობაც ასე ფიქრობდა.**

მაგრამ ვნახოთ გამოფენა.

თუ გვერდს აუვლით „ლამაზ ბუნების“ იდილიას, მწუხმსური განცდების რომანტიკას და შევჩერდებით გამოფენის მთავარ მასალაზე, უნდა ვთქვათ, რომ ეს გამოფენა საფუძვლიანად განსხვავდება ამ 8-9 წლის განმავლობაში მოწყობილ გამოფენებიდან. მართალია ამ გამოფენებზე მრავლად იყო ტექნიკურად დასრულებული და გემოვნებით გაკეთებული სურათები, მაგრამ თვით სურათები იყო უაზრო თანამედროვეობისათვის.

ჩვენს დროში-კი მხოლოდ ისეთი მხატვარი გამართლდება. რომელიც იგრძნობს ახალ საზოგადოებრიობას და აქტიურად შეუწყობს ხელს ახალი კულტურის აღმშენებლობას.

რომ ეს შესძლოს მხატვარმა ამისათვის საჭიროა იგრძნოს მასალა და სიყვარულით დაამუშაოს **იგი.**

მასალის ასეთი გრძნობა ცხადია ამ გამოფენებსაც ახასიათებდა, მაგრამ ეს მასალა იყო შიშველი ქალების, პიროვნული განცდების, კაფეების და ყოველივე იმის, რაც ჩვენს სოციალურ დაკვეთას არ ეგუება.

მახარობლიძის სურათების მასალა-კი შორსაა ყოველივე იმისაგან, რასაც ჩვენ „ბურჟუაზიულს“ ვუწოდებთ.

სურათები და ესკიზები ასეთი წარწერებით: „მორეების ჩამოგორება ცხენისწყალით“, „სახარო მთა“, „სისხლის აღება“, „წმინდა ხე“, „ლეჩხუმის აჯანყება მენშევიკების წინააღმდეგ“ „ბურჟუაზიული კულტურა“, „კლუბი სოფლად“, „ფილიპე მახარაძე სვანეთში“, „ლეჩხუმის გასაბჭოება“, „ლეჩხუმ ლები სვანეთის ბანდიტების წინააღმდეგ“ „სვანეთის აჯანყება 1905 წელს.“, „თავად გარდაფხაძეების მკვლელობა სვანეთის მიერ“, „ფუთა დადეშკელიანის მკვლელობა“, „კალოობა ზამთარში“, „თოხნა“, განა ეს სრულიად ახალი თემები არაა, რომელსაც არ შეხებია არც ერთი ქართველი მხატვარი? თუ ამას დაუმატებთ **საგნების ორიგინალურად დანახვას და მათ გაშუქებას თანამედროვეობისათვის მისაღებ კუთხიდან, მაშინ მხ.** მახარობლიძეზე ვერ ვიტყვით იმას, რასაც ვამბობდით და ვამბობთ თბილისის მხატვრებზე, რომელთა სურათები ისეთ განცდას იწვევს, რომ თითქოს სადღაც დედამიწის ჯურღმულში ყოფილა სარდაფი, ამ სარდაფში ოცი (ან მეტი) წლის წინად მომწყვდეულან ეს მხატვრები და დღეს გამოდიან სინათლეზე. მათ თითქოს არ უნახავთ, არც განუცდიათ, თუ რად მოხდა ხელოვნების რევოლიუცია, რად დაიწყო დეკადანსი, რატომ დაიხვრიტა ნიკოლოზი, რა საჭირო იყო ოქტომბერი, ან სამოქალაქო ომის ზარბაზნების გრიალი, რას „ცოდვილობენ“ ეს მუშები წითელი დროშებით, რომ დადიან და გაიძახიან: „ძირს მოღალატენი! **გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას!“-ო.**



ნახატი მახარობლიძის

ფ. მახარაძე სვანეთში.



ნახატი მახარობლიძის

**ბრძოლა რევოლიუციის მტრებთან**

რაც ვერ **გაუგიათ** თბილისის მხატვრებს ის **კარგათ შეუთვისებია მთებში** შეხიზნულ ჩუმს და მუყაითად მომუშავე ხელოვანს. იქ, ხალხში, უშუალოდ უგრძვნია რომ შემოქმედების ფონი უთუოდ უნდა იყოს სოციალური ყოფა, რევოლიუციის თვალით დანახული.

ბიბლიოთეკა

ეს გამოფენა კიდევ ერთხელ ამტკიცებს, იმ ჭეშმარიტებას, რომ შემოქმედი უთუოდ უნდა იყოს მასაში, ცხოვრობდეს მისი ცხოვრებით და უშუალოდ განიცდიდეს მის წარსულს, აწყმოს და მომავლის სურვილებს. ამის გარეშე შემოქმედება გადაიქცევა ან ესთეტიურ სანახაობად, ან ინდივიდუალისტურ განცდების ილიუსტრაციად. არც ერთი და არც მეორე გამოსადეგი არაა ჩვენი დროისათვის.

მხ. მახარობლიძეს გაუკეთებია დიდი საქმე. ხანგრძლივი შრომის შედეგად ის იძლევა ჩვენი ქვეყნის ორი პროვინციისა, ლეჩხუმის და სვანეთის სახეს. იგი მარჯვედ ხდის ფარდას მხატვრობით ინტელიგენტურ მამაშვილობის ტრაფარეტულ თეორიას და „მთიელთა მოტრფიალეების“ ეგზოტიურ რომანტიზმს. პირველ რიგში ადგილს უთმობს მთაში წარმოებულ სოციალურ ბრძოლებს და ამ მხრივ ყოველი მისი ესკიზი მთელი თემმა ცალკე წერილისათვის.

ვფიქრობთ, მხატვარი ხელს უშვებს სურათების „გაუბრალოებას“, რაც ფიროსმანიშვილის შემდეგ ცუდ მიმბაძველობად უნდა ჩაითვალოს, და საფუძვლიანად დაამუშავებს ამ ესკიზებს. თუ რა სიძლიერით და ორიგინალობით შეუძლია მხატვარს ამ საქმის გაკეთება, ამას გვიჩვენებს სურათი „ფილიპე მახარაძე სვანეთში“.

ამჟამად ქართველ მხატვართა წრეებში დიდი მოძრაობაა. ნიჭიერი და ჯანსაღი ახალგაზრდობა თავს ინთავისუფლებს „ჩოხიან“ მხატვრების გავლენიდან. ალბათ სულ მოკლე ხანში დაარსდება რევოლიუციონურ-პროლეტარულ მხატვართა ასოციაცია. ამ საქმის ერთ-ერთ პრაქტიკულ დამწყებად მხატ. მახარობლიძე უნდა ჩაითვალოს.

ბ. გ.



დიდ ლიახვის ნაპირზე სოფ. ვანელის მდებარეობა, რომლის სიმაღლე უდრის 1400 მეტრს ზღვის ზედაპირიდან. ამ სოფლის მიდამოებში მოიპოვება აუარებელი სამკურნალო მცენარე ბელადონის და დიგიტალინის. ხეობის ორივე მხარეს აყრილია ძვირფას ხეების ტყე. მოშორებით მოსჩანს როკის უღელტეხილი.



მუშკოოპმა ააშენა პირველი მექანიკური თონე, სადაც ცხვება ქართული პური.



აფხაზეთში სახელმწიფო მეურნეობა „პსირცხა"-ს აქვს დიდი სადნობი და სახელოსნო ქარხანა, სადაც მუშავდება ყოველგვარი სამეურნეო იარაღები. სურათზე: ქარხნის შენობა.



თბილისში დასრულდა საქსოვი ქარხანა საბურთალოზე.



ოზურგეთის სადგურის ახალი შენობა.



გლეხები ათვალიერებენ თბილისის რევოლიუციის მუზეუმს.



კომკავშირელები დიდის ენერგიით ეხმარებიან სოფლად სარწყავ არხის გაყვანას (ხაშურის რაიონში).



სოფ. საგარეჯოს მოჯამაგირეები, რომელთაც პირველ რიგში ხელი მოაწერეს ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა 1930 წ.

ყოველთვიურ ლიტერატურულ-მხატვრულ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ჟურნალ

# „პროლეტარული მწერლობა“-ზე

## საქ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ორგანო:

„პროლეტარული მწერლობა“ თავის ირგვლივ აერთიანებს პროლეტ. მწერლობის საუკეთესო კადრებს.

„პროლეტარული მწერლობა“ ბეჭდავს პროლეტარული ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებს, აშუქებს საბჭოთა ქვეყნის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებს.

„პროლეტარული მწერლობა“ ათავსებს აგრეთვე რევოლიუც. თანამგზავრ მწერლ. საუკეთესო ნაწარმოებებს.

„პროლეტარული მწერლობა“ ფართო ადგილს უთმობს თეატრის, კინოს, მხატვრობის, მუსიკის და საერთოდ ხელოვნების საკითხებს.

„პროლეტარული მწერლობა“ აშუქებს თანამედროვე ლიტერატურის აქტუალურ საკითხებს.

„პროლეტარული მწერლობა“-ს მთავარი განყოფილებებია: პოეზია პროზა, დრამატურგია, მიმოხილვები, თანამედროვე ხელოვნება, კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.

## ჟურნალის ფასი

წლიურად—4 მანეთი, 6 თვით—2 მანეთი, ცალკე ნომერი 50 კაპიკი

ხელის მოწერა მიიღება; თბილისი, სახელგამი, პერიოდსექტორი, რუსთაველის პროსპექტ. № 22 და აგრეთვე პროვინციებში სახელგამის ყველა მაღაზიებში.

მთავლიტი № 92 ტირაჟი - 5.800 პ/ტ მე-5-ე სტამბა გაზ. „კომუნისტი“-ს გამომცემლობა.